

გიზო ვაშაკიძე

## მრგვალი სამკუთხედი

თბილისი  
2012

ტექნიკური უზრუნველყოფა | ჯგუფი „სიესტა“  
რედაქტორი | მარინე ქილაშვილი  
გამოცემულია 2012, თბილისი  
© გიზო ვაშაკიძე  
[www.galaxygiz.com](http://www.galaxygiz.com)  
[gizo\\_vashakidze@yahoo.com](mailto:gizo_vashakidze@yahoo.com)  
mob.: 599 96 73 86

**ISBN 978-9941-443-12-1**

## სარჩევი

მრგვალი სამკუთხედი	5
ერთოთახიანი მოთხრობა	47

ყოველივე, რასაც ვხედავთ და განვიცდით, ცხოვრებაა და, ლიტერატურა კი ცხოვრებას მისი უცნობი მხრიდან უყურებს: ხომ შეიძლება ის სხვანაირიც ყოფილიყო? შესაძლებელსა და შეუძლებელს (მიუწვდომელს, მოუხელთებელს, გაუცნობიერებელს) შორის ჭიდილში მდიდარი წარმოსახვით ჩართულ ადამიანს კი (მით უფრო, თუ ის ხელოვანია – წერს ან ხატავს ან ორივე ერთად), ხშირად სრულიად ახალი სივრცეები ეხსნება და „აქ“ დარჩენილთათვის ეს საუცხოო სინამდვილეა – ფანტასმაგორია, პოეტური სახელით – სიგიჟე.

გიზო ვაშაკიძის მოთხრობებში ეს უცხო სამყარო თვალისმომჭრელად გამოიყურება – ჯერ თხრობის ექსპრესია გიზიდავს მასში, მერე თემატიკის ბიბლიური სურნელება, თითქოს პირველყოფილ, რაღაც პირველქმნად აქტთან თუ საგანთან შეხება, რომელიც საკუთარ თავში უამრავ კითხვას დაგასმევენებს და ამ ავტო-დიალოგში შესაძლოა შენი ახალი „მეორეც“ აღმოაჩინო. . .

ეს კი, დამეთანხმება მკითხველი, ყველაზე ჟრუანტელიანი განცდაა, ყველაზე ნამდვილი და ღირსეული განცდა ჩვენს ადამიანადყოფნის ისტორიაში – იპოვო საკუთარი თავის თუნდაც ერთი ნაწილი, როგორც ახალი ვარსკვლავი უსასრულო გალაქტიკაში. იპოვო და განაგრძო გზა დანარჩენი მთელისკენ. . . ამ მოთხრობების მოელვარე ენერჯია ამ გზისკენაც გიბიძგებთ.

ნინო სადღობლაშვილი

## მრგვალი სამკუთხედი

ეს ამბავი მრავალი წლის წინ მოხდა, შორეულ ქვეყანაში, სადაც ომი ცოტა ხნის წინ დამთავრებულიყო. ახლის დაწყებას კი ჯერ არ აპირებდნენ.

მდინარის გასწვრივ შავი ეტლით მგზავრობდა ამაყი მზერის ჭაბუკი, ელეგანტურ კოსტუმში გამოწყობილი – დანიელ აბაშიძე – რომელსაც ორიოდე დღის წინ დაემთავრებინა კოლეჯი. ნაადრევად გარდაცვლილმა მშობლებმა დანიელს უამრავი ქონება და ასევე უამრავი ღარიბი ნათესავი დაუტოვეს. მათ შორის ერთ-ერთი ეტლში მის პირდაპირ იჯდა. მოხუცი, ჭალარა ბიძია ეზეკი, დანიელი სწორედ ბიძამისთან მიდიოდა სტუმრად. ეზეკი ქალაქ ფილეოს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი გახლდათ.

– ძმისწულო, ხედავ ამ სოფელს, ამ ბალებს, აქ გავიზარდეთ მე და ჩემი ძმები. აქედან წავიდნენ უფროსი ძმები ომში, ომმა დიდახანს გასტანა. ძმებისგან წერილები სულ უფრო იშვიათად მოდიოდა, მოხუცი მამა ძალზე დაღონებული იყო. ომის დაწყებიდან ორი წლის თავზე, სამხედრო ფორმის ჩაცმა მეც მომიწია. მახსოვს, მამაჩემი ძმებს მხნედ აცილებდა ომში, ჩემ წასვლაზე კი ცრემლი მოერია. ასე მითხრა: „ცოცხლად დაბრუნების ერთნაირი შანსი გაქვე ყველას. შენ გავალე, შეკრიბო შენი ძმები და მოუყვანო მოხუც მამას“.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, ბევრი ვეცადე მეპოვა ძმები, მაგრამ ამოდ. ომმა და კაცისკვლამ გზა-კვალი ამირია... ასე დამტოვეს ძმებმა მარტო...

ბატონი ეზეკის და დანიელის გარდა ეტლში კიდევ სამი მგზავრი იჯდა, მღვდელი და საავადმყოფოს პიყამოებში გამოწყობილი ორი სულიერად დაავადებული ბავშვი. არისტოკრატიული მანერების მქონე დანიელი იშვიათად და ზიზლით გადახედავდა ხოლმე მის თანატოლებს.

– ეს ბავშვები სად მიგყავს? იკითხა დანიელმა.

– გაიგებდი ალბათ, თქვენთან დედაქალაქში ფსიქიატრიული საავადმყოფო რომ დაიწვა, გადარჩენილი ავადმყოფები სხვადასხვა ქალაქში გადაანაწილეს, ეს ორი ჩემს საავადმყოფოში განაგრძობენ მკურნალობას.

– შენს საავადმყოფოში მარტო გიჟები წვანან თუ სხვა ტიპის ავადმყოფებიც არიან?

– გაგიკვირდება, მაგრამ ის შენობა, რომელიც ჩემს საავადმყოფოს უკავია, ადრე თეატრი იყო. თეატრის დახურვის შემდეგ, როგორც ქალაქის მერიამ გადაწყვიტა, დროებით, შენობა ხანდაზმულთა სახლად იქცა. შემდეგ ფსიქიურად დაავადებულებსაც აქ დაუდეს ბინა. ასე რომ, ახლა შენობის პირველი სართული ფსიქიურად დაავადებულებს უჭირავთ, მეორე – ხანდაზმულებს. მათ შორის ზოგი მსახიობია, ისინი ადრე ამავე შენობაში, ძველ თეატრში მუშაობდნენ, ასე რომ ჩემს საავადმყოფოში ხანდაზმულებიც სახლობენ, სულიერად დაავადებულებიც და წარმოიდგინე ჭკვიანებიც კი მყავს, ისეთები, თავს რომ იგიჟიანებენ და ტყუილად აფარებენ თავს საავადმყოფოს... მოკლედ ნაღდი საგიჟეთია... რამდენჯერ დავყენე მერიის წინაშე საკითხი; მოგვინახეთ სადმე ქალაქგარეთ, ბუნებაში, ორი შენობა, ცალკე ხანდაზმულთათვის, ცალკე ავადმყოფთათვის... არ შეიძლება ამ ხალხის ერთად გაჩერება და ისიც ქალაქის ცენტრში, ძველი თეატრის შენობაში... შეპირებებს ბოლო არ უჩანს. ბედის ირონიაა, მთელი ჩემი ბავშვობა თეატრში მუშაობაზე ვოცნებობდი, ახლა კი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვარ, საავადმყოფოსი რომელიც თეატრის შენობაშია მოთავსებული...

– ბიძია ეზეკ, რომ ამბობთ, ზოგი თავს იგიჟიანებს და თავს აფარებს საავადმყოფოსო, ეგ როგორ, ექიმები გქვიათ და გიჟს ჭკვიანისგან ვერ არჩევთ?..

– შენ წარმოიდგინე, ხანდახან ვერ ვარჩევთ... ზოგჯერ ძალიან რთულია გაავლო ზღვარი სიბრძნესა და სიგიჟეს შორის, ძალიან ძნელია დაუმტკიცო ადამიანს სიგიჟე... მითუმეტეს თუ ის შენ გთვლის გიჟად...

დანიელმა ზიზლით გადახედა პირდაპირ მჯდომ ავადმყოფებს.

– ვერ გავიგე, რა არის ამაში ძნელი, გიჟი გიჟია და მეტი არაფერი. ეზეკი გაკვირვებული უსმენდა ძმისწულის თავდაჯერებულ და დამცინავ საუბარს.

– ჭაბუკო, როგორც გავიგე, კოლეჯი დაგიმთავრებია, რას ფიქრობ ხვალინდელ დღეზე, რით ხარ გატაცებული? ჩაება საუბარში მღვდელი.

– მე ლიტერატურა მაინტერესებს, ხელოვნება, თეატრი. პედაგოგებმა მითხრეს, სცენისთვის კარგი მონაცემები გაქვსო. აი ასეთი მიზნები მაქვს სამომავლოდ, რასაც დავისახავ უნდა შევასრულო, რომ ზოგიერთებივით საყვარელი საქმე და გატაცება ოცნებაში კი არ ჩავკლა, არამედ პროფესიად ვაქციო. ამას წინათ კოლეჯის გამოსაშვებ საღამოზე ჩემი ლექსი წავიკითხე, სხვათაშორის საკმაოდ წარმატებით.

ეტლი ქალაქში შევიდა, ავტომობილებისა და ცხენების მოძრაობით ქუჩაში ქაოსი იდგა, ამ ქაოსს ფეხითმოსიარულენი ემატებოდნენ. უეცრად ეტლის ცხენებმა დაიჭიხვინეს, სვლა შეანელებს, წინა ფეხები ჰაერში აიქნიეს და გაჩერდნენ. გადამკვეთი ქუჩიდან მომავალმა ავტომობილის მძღოლმა ძლივს მოახერხა აეცილებინა მანქანა ცხენებისთვის, მაგრამ ხიფათს მაინც ვერ გადაურჩა, მანქანა ტროტუარზე შეხტა და ფეხითმიმავალი კედელს მიანარცხა.

– სანყლები... ჩაილაპარაკა ეზეკიმ.

– სანყლები კი არა, სანყალი, ერთი კაცია დაშავებული. შეეპასუხა დანიელი.

– მე მძლოლსაც ვგულისხმობ, ორივე საცოდავია ამ უბედურ შემთხვევაში.

– მძლოლმა ალბათ კაცი მოკლა, შენ კი გეცოდება?!

– კი, მაგრამ მან ცხენებს ააცილა, ძალით ხომ არ უნდოდა...

– მძლოლს უნდოდა თუ არა ამას გარდაცვლილისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, კაცის კვლა სასიკვდილო ცოდვაა, მკვლელის ადგილი კი ჯოჯოხეთია! აუნია ხმას დანიელმა.

– დანყნარდი ძმისწულო, რამ გაგაცოფა, ეგებ არც მოკვდეს ის საცოდავი.

მეეტლემ ძლივს დააღწია თავი წარმოქმნილ საცობს. გზა განაგრძო. მღვდელი სახლამდე მიიყვანა. ეტლი მღვდლის სახლიდან ასიოდე მეტრში მდებარე საავადმყოფოს ეზოსთან შეჩერდა.

– დანიელ, ბავშვებს დავაბინავებ და მერე ჩემთან წაგიყვან.

მგზავრები მთავარი ექიმის კაბინეტში შევიდნენ, სადაც ექთანი – ქალბატონი როზა ელოდა მათ. ეზეკიმ ტელეფონზე დარეკა.

– გესმით, ეზეკი ვარ. ავადმყოფები ჩამოვიყვანე, სასწრაფოდ მჭირდება დამატებითი საკვები და თეთრეული, და კიდევ, მე-7 პალატაში ავადმყოფი გარდაიცვალა, კრემატორიუმშია გადასაყვანი.

რამდენიმე წუთში საავადმყოფოს ეზოში მანქანა შემოვიდა, შიგ მიცვალებული ჩაასვენეს, სათანადო საბუთების შესავსებად მთავარ ექიმს წაყოლა სთხოვეს.

– რა გაეწყობა, უნდა წავყვე, მალე მოვბრუნდები. ბავშვებს მიმიხედეთ ქალბატონო როზა.

დანიელი ცოტა ხანს კაბინეტში ელოდა ბიძას, შემდეგ ცივ და ცარიელ დერეფანში გავიდა, პალატებს ჩაუარა. ერთერთი პალატიდან ყვირილი ისმოდა, შემდეგში ვილაც ამტკიცებდა რომ ის გიჟი არ იყო. მეშვიდე პალატის კარი ღია იყო, დანიელს ცნობისმოყვარეობამ სძლია და შიგ შევიდა, ოთახი შეათვალიერა. მისი ყურადღება ულამაზესმა თეატრალურმა სარკმელმა მიიპყრო. მაგიდაზე შეხტა და სარკმლიდან გაიხედა. დანიელმა ძველი თეატრის სცენა, ჩამოხეუ-



ლი ფარდა და დარბაზი დაინახა. მაგიდიდან უხერხულად ჩამოხტა, მაგიდა გადაყირავდა, უჯრიდან ფურცლები გადმოიყარა. აკრიფა – ხელნაწერები ალბათ ამ პალატის განსვენებულ ბინდარს ეკუთვნის – გაიფიქრა დანიელმა. კითხვა დაიწყო, ერთი ფურცელიც არ ქონდა ჩამთავრებული, პალატის კარი მიიხურა... ნიავს დააბრალა მომხდარი და კარისკენ დაიძრა. კარში გასაღების ტრიალის ხმა გაისმა. დანიელი კარის გაღებას შეეცადა მაგრამ ამაოდ.

– რომელი ხარ? დაიყვირა დანიელმა. პასუხის მაგივრად ფეხის ხმა მოესმა, რომელიც ნელნელა დაშორდა მას...

– რას მაიმუნობთ ვერ გავიგე?.. მოვა ბიძაჩემი და ნახავთ რაც მოგივათ... პასუხის გამცემი არავინ იყო. დანიელმა ნიხლები დაუშინა კარებს. – ეს ბიძაჩემი სადღაა, ან მე რა მაყვირებს მოვა ბოლოსდაბოლოს... – თავს იმშვიდებდა დანიელი.

პალატის კარის შუაში მდებარე პატარა სარკმელი შეიღო, საიდანაც რკინის ჯამით წვნიანი და პურის ნაჭერი შემოაცურეს. დანიელი წყნარად მივიდა კართან.

– რას შვრებით ქალბატონო? კარი გამიღეთ, მე დანიელი ვარ, ეზეკი ბიძაა ჩემი...

– ბიძა? ამდენ ავადმყოფს ერთი ბიძა როგორ გყავთ?.. ჩაილაპარაკა ექთანმა და კარს მოსცილდა.

დანიელს მოთმინების ფიალა აევსო, გადაყირავებული მაგიდის ფეხით კარს დაუწყო დარტყმა. მაგიდის ფეხი კარის სარკმელში მდებარე ჯამს მოხვდა, ჰაერში დატრიალდა, წვნიანი დანიელს სახეში შეესხა, ტანსაცმელი დაუსველა. დანიელმა მაგიდის ფეხი დააგდო, კოსტუმი გაიხადა, ცხვირსახოცით სახე შეინიშნა, სანოლზე ჩამოჯდა. მგზავრობისგან დაღლილს მალევე ჩაეძინა.

დილით პალატის კარი მთავარმა ექთანმა გააღო, მას ორი თეთრ-ხალათიანი კაცი შემოჰყვა.

– ქალბატონო, მოვიდა ბიძაჩემი?.. მე თქვენ გეკითხებით, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ეზეკი აბაშიძე მოვიდა თუ არა?

– წამოიყვანეთ. გასცა ბრძანება მთავარმა ექთანმა.

ექთნებმა ძლიერი ხელები დანიელს მკლავებში მოჰკიდეს და კაბინეტისკენ წაიყვანეს. დანიელი და დედაქალაქიდან გადმოყვანილი ორი ავადმყოფი მთავარი ექიმის კაბინეტში შეიყვანეს. დანიელს მუხლები მოეკეცა როცა ბიძამისის სკამზე სხვა კაცი დაინახა.

– ასეთი დასუსტებული რომელ საავადმყოფოდან გადმოიყვანეს?

– დედაქალაქის საავადმყოფოდან. უპასუხა ექთანმა.

– აბა გავიცნოთ ერთმანეთი, რადგან მთავარი ექიმი შვებულებაშია მის მოვალეობას მე ვასრულებ, მისი მოადგილე. შენ რა გქვია გოგონა? რას გეძახიან? არ მეტყვი? ანკეტები არ მოყოლიათ?

– დედაქალაქში საავადმყოფო მთლად დაინვა, ავადმყოფები ძლივს გადარჩნენ, საბუთებს ვინ ჩიოდა, ანკეტები სულ ახლიდან გვაქვს შესავსები.

– იცით რას გეტყვით ბატონო მოადგილე, მე არანაირ საავადმყოფოდან არ წამოუყვანივარ არავის, გუშინ მაგ სავარძელში რომ იჯდა ბატონი ეზეკი, ბიძა ჩემი, გესმით? მე მასთან ჩამოვედი სტუმრად, თქვენ კი აქ დამამწყვდიეთ.

– მეორე დღეა გაიძახის ბიძა ჩემიო...

– რას ვიზამთ ყველა პაციენტს ავადმყოფობის თავისებური გამოვლინება ახასიათებთ. აბა მითხარი ჭაბუკო შენი სახელი და გვარი?

– რად გინდათ ჩემი სახელი და გვარი? ანკეტა არ შეავსოთ გესმით!!!..

– მაშინ ჩვენ შეგარქმევთ რაიმე სახელს, ასე რომ ანკეტა ყველა შემთხვევაში შეივსება.

– ის ბიძაჩემია, გესმით თქვენ თუ არა!!! მე გიჟი არ ვარ!!!!... ამას რას სჩადით!!!!... მოვა ეზეკი და ნახეთ თქვენ რაც მოგივათ!!!!...

– კარგი, დაწყნარდი მჯერა რომ ეზეკი ბიძა შენი, დაწყნარდი, დამშვიდდი... აბა გოგონი, ერთი შენ მიპასუხე, ის კაცი გუშინ რომ მოგიყვანა აქ, ვინ იყო შენი?

– მამა. უპასუხა გოგონამ.

– მამა?.. ძალიან კარგი. აბა მესამე ახალგაზრდას ვკითხოთ, გუშინ რომ მოგიყვანა აქ ის ვინ იყო შენი?

– დედა. უპასუხა ბიჭმა.

– დედა?.. ძალიან კარგი... ნაცნობი სიმპტომებია, ნაცნობი...

დანიელი მიხვდა, ავადმყოფ ბავშვთა პასუხის ფონზე მისი მტკიცება ბიძის შესახებ სიგიჟედ ჩაითვლებოდა. გამწარებული მივარდა ბავშვებს და ყვირილი დაუწყო.

– რა დედა, რა მამა, თქვენ ხო მარ გაგიჟდით?!, თქვე უბედურებო!...

დანიელი ექთნებმა დააკავეს.

– ამ ჭაბუკს ანკეტაში მიუწერეთ აგრესიული შიზოფრენია... სამივემ გაიაროს სრული სამედიცინო შემონმება...

\* \* \*

სამედიცინო შემონმებაგავლილი, ზოლიან პიჟამოში გამოწყობილი დანიელი სასადილო ოთახში გრძელ მაგიდასთან დასვეს. მაგიდებსშორის შევსათვალისწინო მამაკაცი გზას ჯოხის კაკუნით მიიკვლევდა, როგორც ბრძვებს სჩვევიათ. დანიელთან შეჩერდა, რალაც ეუცხოვა, ჯოხი ტანზე აუსვა და დაუსვა. დანიელმა მოხედა მას. ავადმყოფმა სათვალე მოიხსნა და სრულიად ჯანმრთელი თვალებით ჩახედა თვალებში დანიელს.

– ახალი ხარ? იცი თუ არა სად იმყოფები, ბიჭუნა? ყრუ ხომ არა ხარ, მიპასუხე!!!

– არა, არ ვიცი.

– გაიკითხ-გამოიკითხე, აბა! – კაცმა სათვალე გაიკეთა და გზა განაგრძო. დანიელმა გადანწყვიტა, არავისთვის წინააღმდეგობა არ გაენია, საკუთარ თავის ხელში აყვანას ცდილობდა. – მათ უნდათ ჩემი გაგიჟება, მე კი არ უნდა ავეყვე მათ, არა. რაიმე გამოსავალს ვიპოვი, ბოლოსდაბოლოს გავიქცევი.

დანიელს ფიქრი წინ მჯდომმა მოხუცმა კაცმა შეაწყვეტინა.

– ჭამე!

– რა ბრძანეთ?

– ჭამე მეთქი! აუნია მოხუცმა ხმას.

ბიჭმა კოვზი აიღო და მოხუცის დასანახად მიიტანა პირთან. მოხუცს ყვითელი თმა ჯამბაზივით ჰქონდა გაფშეკილი. სახეზე გრიმი ესვა. ზურგზე მცირე კუზი მოუჩანდა. ჩასცქეროდა თავის ცხელ წვნიანს და საზიზღრად ხვრიპავდა.

– რა გქვია?

– დანიელი.

– სასიამოვნოა, შეგიძლია ბატონი რეჟისორი დამიძახო. დანიელ აქ საიდან მოხვდი?

– დედაქალაქიდან. იცით ბატონო რეჟისორო, მე სრულიად შემთხვევით მოხვდი ამ საავადმყოფოში, თქვენსავით გიჟი კი არა ვარ... მოხუცმა ჭამა შეწყვიტა.

– სიგიჟის რა შემატყვევებ ჭაბუკო?..

– არა, უკაცრავად, მე მაგის თქმა არ მინდოდა...

დანიელმა მოუყვა მოხუცს, ბოლო ორი დღის თავგადასავალი.

– აი, ასე მოხვდი ამ საავადმყოფოში. ბატონო რეჟისორო თქვენ დიდიხანია ხართ ამ საავადმყოფოს ბინადარი?

– უამრავი წელი ჭაბუკო, უამრავი...

– ეგებ თქვენ დამეხმაროთ?..

– მე რა შემიძლია?

– თუ დიდი ხანია ამ დამპალი შენობის ბინადარი ხართ, მაშინ გეცოდინებათ, თუ როგორ შეიძლება აქედან გაქცევა?.. თუ საჭიროა მე გადაგიხდით, აგინაზღაურებთ პატივისცემას, ოღონდ ჩემს ქალაქში რომ ჩავალ მერე.

– რომ დაბრუნდები მერე?

– აბა ახლა აქ არაფერი მაქვს.

– ზღაპარია, მერე ვინლა გაგახსენდება...

– ესე იგი არის გაპარვის საშუალება? გეხვეწებით დამიჯერეთ, მე ტყუილს არასდროს ვამბობ. აუცილებლად გადაგიხდით, თქვენ თანხა დაასახელეთ?

– რას ლაპარაკობ ჭაბუკო, რა გაპარვა, რის გაპარვა, ვერ ხედავ ყველა ფანჯარას რკინის გისოსები აქვს,.. ყველა კართან ექთანს დგას... ძალიან ძვირი დაგიჯდება...

– რამდენი?

– მოვიფიქრებ.

– მე მგონი თქვენ ერთადერთი ჭკვიანი კაცი ხართ ამ საგიჟეთში. მოხუცმა კვლავ შეწყვიტა ჭამა.

– სიბრძნის რა შემატყვევებ ჭაბუკო?

– ფასს რომ უწევთ იმიტომ ვთქვი.

– ჭამა დავასრულეთ, ყველა პალატებში!!! გაისმა მთავარი ექთნის ხმა.

– მომისმინე დანიელ, შუადღისით ძველი თეატრის სცენაზე გავყავართ ხოლმე გასართობად. მე, როგორც ამ თეატრის მთავარი რეჟისორი, პატარა სცენებს ვდგამ სპექტაკლებიდან, მთავარ ექთანს სთხოვე, კარგად მოვიქცევიტქო და შენც წამოგიყვანს ჩვენთან. დანარჩენზე იქ ვილაპარაკოთ.

– რომ არ გამომიშვას?

– ქალბატონი როზა კეთილი ქალია, ავადმყოფები უყვარს, უარს არ გეტყვის.

ექთნებმა ავადმყოფები პალატებში გაამწესეს. დანიელი მთავარმა ექთანმა მიაცილა.

– ქალბატონო მთავარო ექთანო, გავიგე შუადღისით ავადმყოფები ძველი თეატრის სცენაზე გავყავთ. ძალიან გთხოვთ, მეც წამიყვანეთ, მაინტერესებს, გპირდებით რომ არ ვიხმაურებ, წესიერად მოვიქცევი და თუ თქვენ გინდათ იმასაც კი ვაღიარებ რომ ფსიქიურად ნამდვილად ვერ ვარ... არაა პრობლემა, გთხოვთ ნუ მეტყვიან უარს...

– თუ წესიერად მოიქცევი, დაგრთავ ნებას, – უპასუხა ექთანმა.

შუადღემ მოაწია. დანიელს კარი გაუღეს, დერეფანში მყოფ ავადმყოფებს შორის დანიელი ბატონ რეჟისორს ეძებდა, დაინახა და დაწყნარდა. პაციენტები დერეფნის ბოლოს არსებული კარის გავლით თეატრის სცენაზე აღმოჩნდნენ. მაყურებელთა დარბაზში ჩავიდნენ, პირველ რიგში ჩამოსხდნენ. დანიელი რამდენიმე რიგით უკან დაჯდა. ერთ-ერთი ავადმყოფი მთავარ ექთანთან მივიდა და სთხოვა.

– ქალბატონო როზა გთხოვთ, ჩვენ გავუძღვევით ბატონ რეჟისორთან ერთად წარმოდგენას, დამოუკიდებლად... მთავარმა ექთანმა რეჟისორს გახედა და სხვა ექთნებთან ერთად დარბაზი დატოვა. ბატონი რეჟისორი სცენაზე ავიდა, თეთრი ხელთათმანები თითებზე მოირგო და სცენის კუთხეში სკამზე ჩამოჯდა.

– ნდობისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ პატივცემულ გიჟებო. სცენაზე ვთხოვ პურპროდუქტების კომიტეტის თავჯდომარეს.

ავადმყოფებს მსუქანი კაცი გამოეყო, სცენაზე ავიდა და დაიწყო თხრობა...

– ჩვენ სახელმწიფოს ძალიან უჭირს, ძალიან, ხორბლის ცუდი მოსავალი... ინფლაცია... პურის საცხოვრებელი სარემონტოა, მოკლედ ძალიან მაგრად უჭირს...

დარბაზში მჯდომი გამხდარი ავადმყოფი ფეხზე წამოხტა და დაიყვირა.

– სახელმწიფოს რომ უჭირს ვიცით, შენ ჯობია შენს თავზე ილაპარაკო, შენ რა გიჭირს?!

– სახელმწიფოს რაც უფრო უჭირს და უჭირს, ჩემს ოჯახს მით უფრო ულხინს და ულხინს, ე.ი. მე, ჩემი ოჯახი, და ჩემი შვილები, სახელმწიფოს არ უჭირს... ეს თქვენი გასაჭირია სახელმწიფოს რომ უჭირს... თქვე არამზადებო!!! თქვენი და არა ჩემი!... თქვენ რა პური გაგაძღობთ?! უკონტროლოდ გამრავლებული ნების ქიებო!!!

გამხდარმა ავადმყოფმა ტაში დაუკრა. მსუქანმა ბელადივით დააქნია ხელი და კულისებში გავიდა... დანიელს გაეცინა, გვერდზე მჯდომთა ყურადღება მიიპყრო.

– ეს ახალია გუშინ მოიყვანეს. გადაულაპარაკეს პაციენტებმა ერთმანეთს...

ამასობაში გამხდარი სცენაზე ავიდა.

– მოდი ვნახოთ სული, რამ შეჭამა სული?.. მიველ ვნახე სული, ხორცმა ჭამა სული, მოდი ვნახოთ სული, ფულმა ჭამა სული, მიველ ვნახე სული, შურმა ჭამა სული. ხორცმა სული, ფულმა სული, შურმა სული შეჭამა...

კულისებიდან კვლავ მსუქანი კაცი შემოვიდა, უცნაური დიდი კოსტუმით, კისერზე ჩამოკიდებული წარწერით – „შეჭამა“. დარბაზის პირველ რიგში მჯდარი პაციენტები ფეხზე წამოდგნენ და ლექსი ერთად წარმოთქვეს.

– მოდი ვნახოთ „შეჭამა“, რამ შეჭამა „შეჭამა“?! მიველ ვნახე „შეჭამა“... „შეჭამამ“ თავის თავი შეჭამა...

მსუქანამ ანუ „შეჭამამ“ კოსტუმის სიდიდის წყალობით, თავი მხრებს შორის ისე ჩაჰყო, სულ აღარ უჩანდა...

– გაგვაცოცხლე... გაგვაცოცხლე... – უყვიროდნენ მას დარბაზიდან.

„შეჭამა“ სცენიდან ჩამოსასვლელ კიბისკენ დაიძრა, სიარული რითმს ააყოლა, რომელიც ავადმყოფებმა შესთავაზეს – ორი დაბრახუნება ერთი ტაში, ორი დაბრახუნება ერთი ტაში ... – გაგვაცოცხლე – კვლავ ყვიროდნენ დარბაზიდან. უთავო სცენიდან ჩამოვიდა, ხელის მოძრაობით თითქოს კარი გააღო. დარბაზის პირველ რიგში ორ-ორი სკამის გამოტოვებით ოთხი პაციენტი ფეხზე იდგა. უკანა რიგში მჯდომმა დანიელმა დაინახა თუ როგორ გაიკეთეს მათ ნიღბები, ფეხებქვეშ როგორ ამოიდეს დასატრიალებელი დისკები, ერთადერთი რაც მან ვერ შეამჩნია... პაციენტებს ზოლიანი სამოსი წინიდან ჯამბაზის აქსესუარებით მოერთოთ, სამოსის უკანა მხარე კი კვლავინდებურად საგიჟეთის უნიფორმა იყო. უთავო პირველ მათგანს მიუახლოვდა რომელსაც

ხელები განზე ჰქონდა გაშვერილი და გაშეშებული იდგა. უთავომ ხელზე ხელი მიატყა, ფეხქვეშ არსებული სატრიალო დისკის წყალობით გაშეშებულმა ერთ ადგილზე ტრიალი დაიწყო, დანიელი გაკვირვებული უყურებდა მბრუნავ ადამიანს რომელიც წინიდან ჯამბაზის ფერადი ფორმით იყო მორთული, უკანიდან კი საგიჟეთის შავთეთრ ზოლიანი სამოსით. სამოსის მონაცვლეობა, სარკაზმს, სიბრძნესა და სიგიჟეს შორის არსებულ კონტრასტს შლიდა... ერთ პიროვნებაში აერთიანებდა. უთავომ ოთხივე თოჯინა დაატრიალა-გააცოცხლა, ისინი რიგრიგობით გადმოვიდნენ მბრუნავი დისკიდან და უთავოს აყვნენ სცენაზე...

უთავო „შეჭამა“ სცენის ცენტრში გაჩერდა, დანარჩენებმა ნახევარწრეში მოაქციეს იგი და რეჟისორს გახედეს. რეჟისორმა მუშტი შეკრა და თავისი დიდი თითი იატაკისკენ გაიშვირა.

ნახევარწრეში მდგარმა ადამიანებმა ხელები ისე დაიკავეს თითქოს გრძელი ჯოხები ეჭირათ, მოიქნიეს არარსებული ჯოხები და დასცხეს უთავოს... რამდენიმე დარტყმის მერე „შეჭამა“ ძირს ეგდო... გამხდარმა ბიჭმა უთავო მიცვალებული გადმოაბრუნა, ხელები მკერდზე დაუწყო. მიცვალებულს მარცხნიდან და მარჯვნიდან ორ ორად დაუდგნენ მკვლელები. გამხდარმა კულისებიდან გვირგვინი გამოიტანა და მიცვალებულთან დადო, მკვლელ გუშაგებს შავი ლენტები შეაბა მკლავებზე. სამგლოვიარო პროცესი დაიწყო, დარბაზში დარჩენილი პაციენტები სცენაზე ავიდნენ, მათ შორის დროდადრო ვილაც ყვიროდა – „მკვლელებს მიუსამძიმრეთ მკვლელებს...“ სცენაზე ასულებმა ხელი ჩამოართვეს, მკვლელებს რომლებიც შეწუხებული სახით იღებდნენ სამძიმარს. მიუსამძიმრეს და დატოვეს სცენა... გამხდარმა უთავოს უცნაური კოსტუმიდან ოთხი თოკი ამოიღო, მკვლელებს დააკავებინა. მკვლელებმა სცენის სიღრმისკენ გადადგეს ორი ნაბიჯი, შემდეგ თოკი მოზიდეს, მიცვალებული მათკენ გასრიალდა და ისევ გაიმეორეს, ორი ნაბიჯი, თოკის მოზიდვა... კულისებიდან გაისმა-ორი დაბრაზუნება ერთი ტაში. მკვლელები რითმს აჰყვნენ და სცენის სიღრმეში გაუჩინარდნენ...



ტაშის ხმა გაისმა. რეჟისორმა თავი დახარა. გაკვირვებულმა დანიელმა უკან მიიხედა, თეატრის აივნებიდან ხანდაზმულთა სახლის ბინადარნი უკრავდნენ ტაშს. ტაში მინელდა, ხანდაზმულებმა დატოვეს აივნები. დარბაზის სიღრმიდან კარგად ჩაცმული მამაკაცი სცენაზე ავიდა, სკამზე რალაც შეხვეული დადო და ისევ დატოვა დარბაზი. რეჟისორმა დანიელს მოუხმო.

– ნახე დატოვა ე.ი. მოენონა.

მოხუცმა სკამიდან ძირს გადმოაგდო ქალაღმში შეხვეული ფულის დასტა, თვითონ სკამზე დაჯდა და ფულის დათვლას შეუდგა...

– ჭაბუკო, შენ რას იტყვი, მოგენონა?

– სუფთა სიგიჟე იყო...

– ე.ი. მე სიგიჟეში მიხდიან ფულს... მანყოფს, დე ეგრეც იყოს...

ბუტბუტებდა მოხუცი, თან ფულს ითვლიდა. დანიელი ზიზლით დაჰყურებდა მის კუზიან ზურგს...

– ვინ იყო ეგ კაცი?

– სიტყვა მომეცი რომ არსად არ იტყვი.

დანიელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მოხუცმა ფული ისევ ძირს დაყარა...

– ეგ პატივცემული კაცი დიდი თეატრის მთავარი რეჟისორია, მე მას.. ასე ვთქვათ... ვეხმარები. ვდგავ ეპიზოდებს, ამ ეპიზოდებს ის სპეკტაკლში სვამს, სამაგიეროდ ფულს მიხდის ამაში. მოკლედ მას სახელი აინტერესებს, მე ფული, ფული გესმის?! ხვალ კიდევ უნდა მოვიდეს, ხოდა შენზე ვიფიქრე... უნდა გაქცევა თუ არა მეთქი?..

– მინდა, როგორ არ მინდა, მაგრამ ვერ გავიგე, რა შუაშია ამ კაცის მოსვლა?..

– ზუსტად შუაშია, მე გაქცევაში მოგეხმარები, შენ კი ერთ როლს შემისრულებ, ხუთწუთიან ეპიზოდში, თანახმა ხარ?

– მერჩივნა გაქცევაში ფული გადამეხადა.

– მომეცი ფული.

– აქ არ მაქვს.

– ჰოდა ამაშია საქმე. გაიგე ჭაბუკო, როდის შენ ქალაქში ჩახვალ, და იქიდან ფულს გამომიგზავნი. ასე კი ხვალ ამ კაცისგან მე ფულს მივიღებ, შენ კი თავისუფლებას და ეს ყველაფერი ერთი როლის სანაცვლოდ, რას იტყვი?

– კარგი, თანახმა ვარ, რა უნდა გავაკეთო?

– მაშ თანახმა ხარ, აბა სხვა რა გზა გაქვს... გესლიანად ჩაიცინა მოხუცმა და კუზი მოიფხანა.

– გაფრთხილებ ჭაბუკო, მუშაობისას მკაცრი ვარ. ყურადღებით მისმინე, შენ მეფისწულის როლს მოგცემ, მე კი შენი ბიძის – ბარსის როლს შევასრულებ. უფლისწულს სხვა ბიძაც ყავს – ალონი, ის ხეზე იქნება მიბმული, მას მოგაკვლევინებს ბარსი მოტყუებით. მოკლედ სცენარს გაგატან, ხვალ დილით ერთ რეპეტიციას მოვასწრებთ, სალამოსთვის კი ეპიზოდი საჩვენებლად მზად უნდა გექონდეს.

დანიელმა უცებ ჩაიკითხა სცენარი.

– სულ ეს არის? დიდი არაფერი ყოფილა, შევასრულებ ამ როლს, მაგრამ ჯერ ორ კითხვაზე გამეცი პასუხი. ხმალი როგორ ჩავარჭო ხეზე მიბმულ კაცს?

მოხუცმა კულისებიდან ხმალი გამოიტანა და დანიელს მუცელზე მიანვა.

– ეს თეატრალური ხმალია, მიწოლისას მისი წინა მხარე, უკანა ნაწილში იძირება და ისეთ შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ხმალი მუცელში შედის, უკან გამონევისას ხმლის შიგნით მყოფი ზამბარა, უკანა ნაწილს თავის ადგილას აბრუნებს, შედეგად ხმალი ისევ მთელდება, თითქოს მუცლიდან გამოდისო, გასაგებია ჭაბუკო? კიდევ რა კითხვა გაწუხებს?

– სცენარის შესახებ მეტი არაფერი კითხვა არ მაქვს, ისე უბრალოდ დამაინტერესა, თქვენ თუ შეგიძლიათ მე გამაპაროთ, თვითონ რატომ არ გარბიხართ ამ საზიზლარი საავადმყოფოდან? თავისუფლება არ გინდათ?

– გავიქცე?.. შე ლლაპო, შენ რა იცი რა არის თავისუფლება! მე აქედან გავიქცე?! – გადაიხარხარა მოხუცმა – მერე სად? მე აქ

ვცხოვრობ, ვმუშაობ, მყავს ჩემი მსახიობები, საკუთარი თეატრი, გესმის?! აქ ვარ თავისუფალი აქ!!! ბევრი რეჟისორი იოცნებებდა ასეთ პირობებზე. ხანდახან მეც მინვევენ ქალაქის ერთ პატარა კაფეში, სცენის დასადგმელად, საავადმყოფოს დირექციამ იცის ამის შესახებ... მიშვებენ კიდეც. იმიტომ რომ მე არ ვარ საზოგადოებისთვის საშიში გიჟი, ჩემი და შენი სიგიჟის დიაგნოზები განსხვავდება ერთმანეთისგან, მე პატარაზე ვიგიჟიანებ თავს, ისიც იმიტომ რომ სულ არ გამიშვან აქედან, შენსავით პალატის კარებს კი არ გამტვრევ. ასე რომ ჭაბუკო, როგორც ხედავ, შენ გაქვს აქედან გასაქცევი, მე კი არა.

\* \* \*

დილით დანიელი და რეჟისორი სასადილოდან პირდაპირ სცენაზე შევიდნენ. იქ მათ ხანდაზმულთა სახლის სამი ბინადარი დახვდათ.

– გაიცანით, ამ ჭაბუკს დანიელი ქვია. ესენი კი პროფესიონალი მსახიობები იყვნენ... ოდესღაც... დანიელ, იმედია ტექსტი კარგად დაისწავლე? შეხედე სხვენში რა სამოსი ვიპოვე შენთვის.

დანიელმა უფლისწულის ტანსაცმელი ჩაიცვა. ამასობაში რეჟისორმა ხის ფიტულზე ერთი კაცი მიაბა, პირი აუკრა. თვალებზე ნილაბი ჩამოაცვა. ხეს გარშემო დიდი დროშა შემოახვია, ხეზე მიკრული კაცი დროშის შიგნით დარჩა დამალული. რეჟისორმა ბარსის მოსასხამი მოიხურა და მოუბარს ტექსტის წაკითხვა სთხოვა.

**მოუბარი** – ნისლეთის ქვეყანა მოიცვა მძიმე ამბავმა,

მეფის სიცოცხლის ბოლო დამდგარა.

უფლისწულს არ აქვს ტახტზე უფლება.

ასაკის გამო ბრძოლა უხდება.

ორი ბიძა ყავს, ბარსი და ალონ,

მათ სურთ ნისლეთის ქვეყანა მართონ

მცველთა თანხლებით, მახვილით ხელში  
ძმისწული ესტუმრა ბარსს სასახლეში...

**ბარსი** – მშვიდობა ძმისწულო.

**უფლისწული** – მშვიდობა ბიძას.

**ბარსი** – ჩემი მამა, იგივე ბაბუა შენი, შენსავით ახალგაზრდა იყო რომ გამეფდა. მაგრამ ძალა მისი ენით აღუნერელი იყო. იგი ხეს, მტრის დროშას შემოახვევდა, დაჰკრავდა ხმალს, ერთი მტკაველის სიღრმეზე არჭობდა და კვლავ უკან აძრობდა მას. აგერ მტრის დროშაშემოხვეული ხე, აგერ ბაბუას ხმალი, დაჰკარი, დამანახე შენი ძალა და გამეფდი, არანაირი პრეტენზია აღარ მექნება ტახტზე.

უფლისწულმა ხმალი გამოართვა, მიიღბინა ხესთან და მტრის დროშას შუაში დაჰკრა, ხმალი შეიკეცა და უკან გამოწვეისას ისევე გამთელდა. დროშა ჩამოვარდა, ხეზე მიბმული განგმირული კაცი გამოჩნდა. უფლისწული ბარსს მივარდა და ყელში სწვდა.

**უფლისწული** – ეს რა ჰქენი?!! რა ჩაიდინე?!! ვინ მომაკვლევეინე სიცრუითა და მზაკვრობით?!!

ბარსმა ხელი ჰკრა, უფლისწული იატაკზე დაეცა.

**ბარსი** – საკუთარ ბიძას, ალონს ვერ ცნობ უფლისწულო??? ბიძის მკვლელს ჩემი ქვეყანა არ გაამეფებს...

**უფლისწული** – არა.. არა... მზაკვარო! ვგრძნობდი რალაცას ცრუობდი, არაკაცო... ერთი დარტყმით, ჩემი ხელით მომიცილე მეც და ალონიც...

ბარსმა გვირგვინი მოირგო

**მოუბარი** – ასე გამეფდა ნისლეტში ბარსი.

\* \* \*

– ტექსტი კარგად დაგისწავლია... – მიმართა რეჟისორმა დანიელს  
– რამდენიმე შენიშვნა მაქვს... დანიელ ხმალი მაგრად მიარტყი!  
მაგრად! რის გეშინია?!

რეჟისორმა ფიცარი იპოვა და ხეზე მიბმულ კაცს შარვალში  
ჩაუტანა.

– ახლა? ახლაც შეგეშინდება, მუცელი რომ არ ატკინო?! მიარ-  
ტყი რაც ძალა გაქვს გესმის!!! მეორე შენიშვნა, დროშა ჩამოცურ-  
დება და შენ დანახავ შენ მიერ მოკლულ კაცს... აქ წამით გაც-  
დი... პაუზა-გაოგნებაა აქ საჭირო, შემდეგ მოეგე გონს და მივარდი  
ბარსს, ყვირილით, ცოტა მეტი ტრაგიზმი! ბუნებრივს უნდა გავდეს  
ეს ყველაფერი! დამაჯერე... რომ ეს ყველაფერი შენთვის მოულოდ-  
ნელია... და კიდევ, ხელს რომ გკრავს ბარსი, ცოტა გაუძალიან-  
დი, მთლად ჩვარივივით ნუ დაეცემი, მაგრად ჩაავლე ხელები... აბა,  
კიდევ ერთხელ...

ეპიზოდი რამდენჯერმე გაიმეორეს. პალატებში დაბრუნდნენ.  
მოსალამოვდა, დანიელმა პალატას მოავლო თვალი, იმ იმედით რომ  
იქ აღარასოდეს დაბრუნდებოდა, პალატაში ნაპოვნი ხელნაწერები  
დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. კარი მთავარმა ექთანმა გაუღო, სცენამდე  
მიაცილა. დანიელის მოსვლამდე ბატონ რეჟისორს ყველაფერი გაემ-  
ზადებინა, ხეზე ვილაც მიება, დროშა შემოეხვია. დანიელის დანახვაზე  
მასთან მივიდა, უფლისწულის ტანსაცმელი გაუსწორა, თან ქკუას  
არიგებდა.

– არ ინერვიულო დანიელ, ფარდა რომ გაიხსნება მაყურებლისკენ  
არ გაიხედო, დაიბნევი. ტექსტი არ შეგეშალოს!!!

– გასალები!

– რა გასალები?

– ქუჩაში გასასვლელი კარის გასალები!

– დანიელ, მომისმინე, სცენას შენ და მსახური ერთად ტოვებთ, მსახური გაგიღებს კარს, ოღონდ ძალიან გთხოვ, ახლა მაგაზე ნუ იფიქრებ.

რეჟისორმა ფარდა ოდნავ გადაწია, პაციენტებს წინა რიგები დაეკავებინათ, ხანდაზმულებს აივნები, ქალაქის დიდი თეატრის რეჟისორიც მოკალათებულიყო შუა დარბაზში. რეჟისორებმა ერთმანეთს თავი დაუკრეს. მოუბარის გარდა ყველანი კულისებში გავიდნენ. ფარდა გაიხსნა.

**მოუბარი** – ნისლეთის ქვეყანა მოიცვა მძიმე ამბავმა,  
მეფის სიცოცხლის ბოლო დამდგარა.  
უფლისწულს არ აქვს ტახტზე უფლება.  
ასაკის გამო ბრძოლა უხდება.  
ორი ბიძა ყავს, ბარსი და ალონ,  
მათ სურთ ნისლეთის ქვეყანა მართონ,  
მცველთა თანხლებით, მახვილით ხელში  
ძმისწული ესტუმრა ბარს სასახლეში...

სცენაზე მარჯვნიდან ბარსი, მარცხნიდან უფლისწული და მისი მცველები შემოვიდნენ.

**ბარსი** – მშვიდობა შენ ძმისწულო!!!

**უფლისწული** – მშვიდობა ბიძას!!!

**ბარსი** – ჩემი მამა, იგივე ბაბუა შენი შენსავით ახალგაზრდა იყო რომ გამეფდა. მაგრამ ძალა მისი ენით აღუწერელი იყო. იგი ხეს მტრის დროშას შემოახვევდა, დაჰკრავდა ხმალს, ერთი მტკაველის სიღრმეზე არჭობდა და კვლავ უკან აძრობდა მას. აგერ მტრის დროშაშემოხვეული ხე, აგერ ბაბუას ხმალი, დაჰკარი, დამანახე შენი ძალა და გამეფდი, არანაირი პრეტენზია აღარ მექნება ტახტზე.

უფლისწულმა ხმალი გამოართვა, მიიღბინა ხესთან და მტრის დროშას შიგ შუაში ჩაარჭო, გმინვის ხმა გაისმა... უფლისწულმა ხმალი უკან გამოწია... ვერ გამოაძრო, გაკვირვებული დანიელი ხმალს დააკვირდა, იმ ადგილას სადაც შესაკეცი ეგულებოდა სისხლის წვეთები

დაინახა. ბატონ რეჟისორს გახედა. ბარსის ტანსაცმელში გამოწყობილი კუზიანი მოხუცი გესლიანად იღიმებოდა. ამასობაში დროშა ჩამოვარდა და ხმაღზე გადაეკიდა. დანიელი მიხვდა თეატრალური ხმალი ნამდვილით შეუცვალეს, ხმაღმა კი მიბმული კაცის მუცელი გაიარა და ხეს შეერჭო. მომხდარმა შეაძრწუნა. აღარ იცოდა რა ექნა... ან რა ეთქვა... უეცრად ძალა მოიკრიფა, ბარსს მივარდა, არაადამიანური ძალით ჩააფრინდა ყელში და დაიყვირა ის, რაც უნდა დაეყვირა უფლისწულს.

**უფლისწული** – ეს რა ჩაიდინე, შე არა კაცო, ვინ მომაკვლევიანე სიცრუითა და მზაკვრობით!!!

**ბარსი** – საყვარელ ბიძას, ალონს ვერ ცნობ, ძმისწულო?

ძლივსძლივობით წარმოთქვა ბატონმა რეჟისორმა, ის ვერანაირად ვერ იშორებდა ყელში ჩაფრენილ დანიელს. ამ ჭიდაობაში ღონემიხილმა რეჟისორმა ყურში ჩასჩურჩულა დანიელს.

– ბიძაშენ ეხეკს ვერ ცნობ, ჭაბუკო?

ბიძამისის სახელის გაგონებაზე დანიელს ხელები ჩამოუვარდა, და ხისკენ მიტრიალდა. ბატონმა რეჟისორმა დრო იხელთა, ხელი ჰკრა დანიელს. ის დაეცა, ხმამაღლა მოთქვა ვდა და ხისკენ მიცოცავდა.

**უფლისწული** – ბიძაჩემი... ბიძია, მომატყუა, გესმის... არა არ მჯერა! ნილაბი მოხსენით! ამ არაკაცმა მოტყუებით მომაკვლევიანე საკუთარი ბიძა...

**ბარსი** – ბიძის მკვლელს ჩემი ქვეყანა არ გაამეფებს!!!

ატირებული დანიელი ხისკენ ცდილობდა მისვლას, რათა განგმირულისთვის ნილაბი აეხადა, მაგრამ მცველებმა გაიყვანეს იგი სცენიდან. კმაყოფილმა ბარსმა გვირგვინი მოირგო.

**მოუბარი** – ასე გამეფდა ნისლეთში ბარსი...

დარბაზში ტაშის ხმა გაისმა. გულამოგდებულ დანიელს მცველებმა ქალაქში გასასვლელი კარი გაუღეს. თან ბატონი რეჟისორის მიერ გამოტანებული ნილაბი მისცეს, რომელზეც მისამართი ეწერა. დანიელმა გამოართვა, ძალა მოიკრიბა და ჰკითხა.

– ძალიან გთხოვთ მითხარით, მე ვისაც ხმალი გაუყარე, მართლა ბიძაჩემი ეზეკი იყო, თქვენი მთავარი ექიმი თუ ვინმე სხვა?

– ბიძის მკვლელს ჩვენი ქვეყანა არ გაამეფებს, არამედ საპყრობილეში გაამწყვდის...

– ბიძა თუ არა, გთხოვთ მიპასუხეთ?

– იჩქარეთ, თორემ კარი დაიკეტება.

– წყეულიმც იყოს ეს თქვენი საგიჟეთია თუ თეატრი... წყეულიმც იყოს...გესმით...

\* \* \*

დანიელი მარტო აღმოჩნდა უცხო ქალაქში, რეჟისორის მიერ მიცემულ ნიღაბს დახედა, სადაც მისამართი ეწერა – არა, არა ამ მისამართზე არ მივალ... ისიც საკმარისია რაც გამაცურა... – გაიფიქრა დანიელმა და საავადმყოფოსთან ახლოს მდებარე მღვდლის სახლს მიაგნო, ვისთან ერთადაც იმგზავრა დედაქალაქიდან. მღვდელი ფრიად გაკვირვებული დარჩა, უფლისწულის ტანსაცმელში გამონყობილი დანიელის დანახვაზე. თბილად მიიღო და ყურადღებით მოუსმინა დანიელის უცნაურ მონათხრობს.

– შვილო, ახლა გვიანია დაიძინე, გაირდები ხვალ ყველაფერს გავარკვევ...

დილით დანიელი რადიოს ხმამ გააღვიძა.

– დილამშვიდობისა, ლაპარაკობს ფილემოს რადიოსადგური. ფილემოს დროით დილის 10 საათია, მშვიდობიან დღეს გისურვებთ, ძვირფასო რადიომსმენელებო. მითუმეტეს რომ დღეს ჩვენს ქალაქში დიდი დღესასწაულია. გირჩევთ მოიძიოთ თეატრალური სამოსი, ნიღბები და ზეიმს შეუერთდეთ.

– დანიელ გაიგე? დღეს ზეიმია ჩვენს ქალაქში, ასე რომ არ მოიწყენ.

– მე ისედაც არ მომიწყენია...



– მართლა დანიელ, ის მისამართი რეჟისორმა რომ გამოგატანა, შენი ბიძის, ეზეკის მისამართი ყოფილა, ასე რომ დაწყნარდი, ალბათ ყველაფერი კარგადაა.

ამის გაგონებაზე დანიელი სწრაფად წამოდგა, უფლისწულის ტანსაცმელში გამოეწყო, ნილაბი რომელზეც მისამართი ეწერა აიღო და ქუჩაში გავარდა. სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, თან იმეორებდა – მე არავინ მომიკლავს, არავინ – სახლს მიაგნო. კარი ეზეკმა გაუღო.

– დანიელ შემოდი, მთელი ღამე გეძებდი, სად იყავი, რატომ არ მოხვედი ჩემთან სახლში? მისამართი ხომ გადმოგცეს?

– ბიძი შენ!.. შენ კიდევ მე მსაყვედურობ?! მთელი ღამე კი არა, ასე მგონია მთელი სიცოცხლე გელოდი იმ საგიჟეთში!!! რატომ მიმატოვე!!! სად წახვედი სად!!!

დანიელმა ხმას უმატა – მალე მოვალო თქვი და გაქრი სადღაც!!! საგიჟეთში ყოფნის ეს დღეები ჩემთვის საუკუნის ტოლფასი იყო!!! შენ კი მე მსაყვედურობ?!!

იცი როგორ მექცეოდნენ იქ? იცი რა მიქნა იმ ვიღაც გიჟმა რეჟისორმა?!! გაგაპარებ აქედან, რაღაც იდიოტურ სცენაში თუ ითამაშებ ერთ როლსო...

– მერე ხომ გაგაპარა?

– მერე და რის ფასად, ხმალი შემიცვალა... ვიღაც კაცი მომაკვლევიანა... მერე მითხრა, ბიძაშენ ეზეკს ვერ ცნობო?

– დანიელ დაწყნარდი, მე ვესწრებოდი სპეკტაკლს. შენ არავინ მოგიკლავს, ხმალი რომ შეცვალეს, ის კაციც შეცვალეს, ფიტული იყო მიკრული ხეზე, ადამიანი კი არა. ასეთ ტრიუკს მიმართავენ ხოლმე, მსახიობი უფრო დამაჯერებლად რომ შევიდეს როლში. და შედეგმაც არ დააყოვნა. შენ ბრწყინვალედ შეასრულე შენი როლი. დიდი თეატრის რეჟისორი აღფრთოვანებული დარჩა შენი თამაშით.

– რას მელაპარაკები?! მართლა?! შენ იქ იყავი და ესწრებოდი ამ ყველაფერს?!! რა არის ეს ბიძაჩემო?... რა ექსპერიმენტს ატარებ ჩემზე?! თუ იხუმრე?! ძალიან ცუდი ხუმრობა გამოგივიდა გარწმუნებ!!!

– დანიელ აკი მითხარი, თეატრალურზე მინდა ჩაბარებო? მე მგონი საამისოდ კარგი გამოცდილება მიიღე... აბა კარგად დაუკვირდი, შენ ნახე თუ როგორია საგიჟეთის პალატაში ჯდომა, იქ ყოფნით, შენ იმ ავადმყოფ ბავშვთა ბედი გაიზიარე, რომლებსაც ასე ზიზლით უყურებდი მგზავრობისას... შენ გაითავისე სიტუაცია, როდესაც იცი რომ ჭკვიანი ხარ, საზოგადოება კი გიჟად გთვლის... შენ ნახე თუ როგორია კაცის მკვლელის როლში ყოფნა... იმ მძლოლის ადგილას ყოფნა, რომელსაც ჩვენი მგზავრობისას შემთხვევით შემოაკვდა ვილაც, შენ კი ჯოჯოხეთში გაამწესე... გაიხსენე?! ძმისწულო თეატრალურზე სწავლის შემდეგ ეგებ მოგიწიოს ასეთი როლების შესრულება, მე მგონი მშვენიერი გამოცდილება შეიძინე სამაგისოდ...

– ესე იგი ეს ყველაფერი ამისთვის მოენყო? — დანიელი ჩაფიქრდა – კი მაგრამ, ეგება მე არც ვისწავლო თეატრალურზე და არ გავხდე მსახიობი? მაშინ რა საჭიროა ეს იდიოტური მასკარადი?! მე არ მესმის შენი... არა!!! შენ ასე თუ გააგრძელებ, სამუდამოდ დაგტოვებენ მაგ საგიჟეთში, არა როგორც მთავარ ექიმს, არამედ როგორც პაციენტს!!! მაშინ კარგად გაუგებთ ერთმანეთს შენ და ის იდიოტი – ბატონი რეჟისორი, შენ სცენარს დანერ, ის კი უაზრო სპექტაკლად აქცევს შენს ნაჯღაპნს!!!

– დანიელ, გაიგე, შენ ისწავლი თუ არა თეატრალურზე, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. სამწუხაროდ შენ ვერ მიმიხვდი, ჩემი ამ საქციელით რისი თქმა მინდოდა! ახლა კი კარგად მომისმინე. შენ აღარც ღედა გყავს, აღარც მამა, ცხოვრება კი მკაცრი რამ არის იცოდე, რაც არ უნდა მდიდარი, განათლებული და ჯანმრთელი იყო, უფლება არ გაქვს ზიზლით უყურო ავადმყოფებს, განიკითხო ყველა და ყველაფერი გარშემო... გაიგე თუ არა, რომ არავინ მოგიკლავს, ისევე ქედმაღლურად და ჭკუისდამრიგებლური ტონით მელაპარაკები, როგორც ადრე!!! დაიმახსოვრე და სამუდამოდ გაითავისე, ერთი თიხისგან ვართ მოზეილები ყველა, ჯანმრთელებიც და ავადმყოფებიც, ჭკვიანებიც და გიჟებიც, მდიდრებიც და ღარიბებიც, იცოდე, სიამაყემ

და ამპარტავნობამ დაანგრია ეს ქვეყანა!!! შენ თუ ჩემს საქციელში ლალატს ხედავ, ეგეც კარგი გაკვეთილია. იცოდე რომ შეიძლება ნათესავმაც გილალატოს. დედაქალაქში რომ დაბრუნდები, ფრთხილად იყავი დანიელ, დიდი ფულის პატრონს ბევრი ნათესავი დაგეხვევა... ერთი იცოდე, მე, ჩემი ძმის ხსოვნის და შენი სიყვარულის გარდა არაფერი მამოძრავებს.

– შენ ბიძაჩემო, შენი მორალი ტყუილზე დაამყნე და ისე მომანოდე, არ მჯერა მე ასეთი მორალის, არა!!! ყალბი ხარ! ყალბი! გესმის?! მაგ ყველაფრის თქმა თუ გინდოდა პირდაპირ გეთქვა!... არა! შენთან გაჩერება შეუძლებელია... მძულხარ!!!..

დანიელი ფეხზე წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა.

– იმედია დედაქალაქში დასაბრუნებლად ეტლს მომცემ და შენ უაზრო მასპინძლობას ამით დაასრულებ...

– ეტლს ხვალ საავადმყოფოსთან დავიბარებ, დანიელ დარჩი მე არ დამიმთავრებია საუბარი...

ქუჩაში კარნავალი ჩქეფდა, მოსიარულე მუსიკოსები, ცირკის მსახიობები, მხიარული ახალგაზრდები ლალად მიაბიჯებდნენ ფილეოს ქუჩებში. უფლისწულის ტანსაცმელში გამონყობილი დანიელი, მხიარულების ტალღამ შთანთქა. ჭაბუკს წინააღმდეგობა არც გაუწევია, პირიქით ნიღაბი ჩამოიცვა და სიამოვნებით შეუერთდა მოზეიმეთა ერთ ჯგუფს, რომელშიც დანიელმა თავისი ტოლი გოგო ბიჭები შეამჩნია. ახალგაზრდების ჯგუფი ჩამოსცილდა ქუჩის მსვლელობას და პატარა სკვერში, ღია სცენისკენ გაემართნენ. იქ მათ მშობლები და სკოლის პედაგოგები დახვდნენ. დანიელი სიმპატიურ გოგონას გვერდზე ჩამოჯდა, რომლის ყურებაც მას სიამოვნებას ჰგვრიდა. გოგონამ შეამჩნია დანიელის დაჟინებული მზერა და მოხედა მას, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილა, რადგან ნიღბის გამო დანიელს მხოლოდ პირი უჩანდა. სცენაზე სკოლის დირექტორი ავიდა და ...

– ძვირფასო ახალგაზრდებო, პატივცემულო მშობლებო, სასიხარულოა რომ ჩვენი კოლეჯის გამოსაშვები ზეიმი დაემთხვა ქალაქის

ზეიმს. კიდევ ერთხელ გილოცავთ კოლეჯის დამთავრებას ძვირფასო ბავშვებო. თუმცა დღეიდან თქვენი ბავშვობა წარსულს ჩაბარდა, თქვენ ცხოვრების დიდ გზაზე გადიხართ. ახლა კი დროა დავინწყოთ ჩვენი საზეიმო ღონისძიება. როგორც შევთანხმდით ვიდრე გადმოგცემდეთ დიპლომებს, ყველა თქვენგანმა უნდა წაგვიკითხოს ლექსი ან იმღეროს... თქვენი სურვილის მიხედვით... დავინწყოთ რიგის მიხედვით, ანა, გთხოვ სცენაზე. დანიელის გვერდით მჯდომი გოგონა სცენაზე ავიდა.

– მე წაგიკითხავთ ლექსს სათაურით „სიზმარი“. ავტორი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი – ეზეკი აბაშიძეა.

დანიელი გაოცდა ბიძამისის სახელის გაგონებაზე. ანამ უმნიკვლოდ წარმოთქვა ეზეკი აბაშიძის ლამაზი ლექსი. ყველამ ტაში დაუკრა, დანიელმაც კი ვერ შეიკავა თავი, აპლოდისმენტებს აჰყვა. ანას დიპლომი გადასცეს. იგი სცენიდან ჩამოვიდა და კვლავ თავის ადგილას – დანიელის გვერდით დაჯდა. დირექტორმა გააგრძელა სიტყვა.

– მშვენიერი იყო, ყოჩაღ ანა! ახლა კი, შენ გვერდზე მჯდომ უფლისწულს ვთხოვოთ სცენაზე.

დანიელი დაიბნა, სკამს მიეკრო, წამში გონს მოეგო და დირექტორს უარის ნიშნად ხელი გაუქნია.

– უფლისწულო, გამოსასვლელად მზად თუ არ ხარ, უკანა რიგში გადაჯექი.

დანიელი სკამიდან წამოდგა და უკანა რიგის ნაცვლად სცენაზე ავიდა.

– მე წაგიკითხავთ ლექსს სათაურით „ჩემი ბავშვობის პატარა გემები“, ლექსის ავტორი კვლავ აბაშიძეა, მაგრამ არა ეზეკი, არამედ დანიელ აბაშიძე.

– ლექსს ვინ კითხულობს? – იკითხა დირექტორმა.

– ვკითხულობ მე... შორეული ქვეყნის... ნისლეთის უფლისწული.

დანიელმა ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა სევდანარევი ლექსი. დამთავრებას ტაში მოჰყვა.

– ჭაბუკო, ახლა მოიხსენი ნილაბი, უნდა გადმოქცეთ კუთვნილი დიპლომი. – მიმართა დანიელს ღირექტორმა. დანიელმა სცენა სწრაფად დატოვა და პარკში მოსიერნე ხალხს შეუერთდა. ანას ბევრი არ უფიქრია, ჭაბუკს აედევნა და დაენია კიდევ.

– რატომ გამოიქეცი უფლისწულო?

– ისე, უბრალოდ აღარ მინდოდა იქ ყოფნა, რადგან მე არ ვარ თქვენი კოლეჯიდან და არც აქაური ვარ. სტუმარი ვარ და ქალაქის დათვალიერება მაინტერესებს.

– მე ხომ არ გიშლი ხელს?

– არა, პირიქით გთხოვ მეგზურობა გამინიო და მიაბო რამე შენს ქალაქზე, აი თუნდაც ამ ნანგრევებზე.

– ეგ ჩვენი ქალაქის სიამაყეა, ძველი ქალაქის გალავანი, მას რესტავრაციას უკეთებენ. ხედავ ტურისტთა ჯგუფი ათვალიერებს გალავანს, მათ გიდს მოუსმინოთ, მასზე უკეთ მე ვერ მოგიყვები ქალაქის ისტორიას. ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს, რადგან ნილაბს არ იხსნი ეგებ მიმანიშნო ამ ტურისტებიდან რომელი გავს ნისლეთის უფლისწულს?

თუმცა ტურისტებს შორის ბევრი ახალგაზრდა იყო, დანიელმა თავის იერის ვერავინ შენიშნა, მაშინ მან ყველაზე შეუხედავი შეარჩია და მასზე მიუთითა ანას. გოგონა მიუხვდა ხუმრობას და გაუღიმა დანიელს. შეუხედავი ყმანვილი კი ძალზედ ცნობისმოყვარე გამოდგა, იგი მოსვენებას არ აძლევდა გიდს, თავისი კითხვებით, დროდადრო სათვალეს ისწორებდა, პასუხებს კი საგულდაგულოდ იწერდა უბის წიგნაკში.

– ძველი ქალაქის გალავანი – ყვებოდა გიდი – როგორც ხედავთ, დღევანდელი ქალაქის შუაგულშია მოქცეული. მიმდინარეობს გალავანის რესტავრაცია. ვარაუდობენ რომ ძველი ქალაქი უამრავი წლის წინაა აშენებული.

– ზუსტად რამდენი წლის წინაა აშენებული ძველი ქალაქი? – იკითხა შეუხედავმა ჭაბუკმა.

– ზუსტად?... ზუსტად მრავალი წლის წინ, ჩვენ წელთ აღრიცხვამდე. კიდევ ხომ არ გაქვთ რაიმე შეკითხვა?

– ვინ იყო ადამიანთა შორის პირველი ქალაქის მშენებელი?

გიდი თვალეებში უყურებდა შეუხედავ ყმანვილს და ნელნელა უწევდა ხმას.

– პირველი ქალაქის მშენებელი, როგორც ცნობილია არის კაენი, ზოგიერთი თვლის რომ ქალაქური ცივილიზაცია არ არის ღვთისგან დალოცვილი, რადგან კაენი როგორც კაცთა შორის პირველი ძმის მკვლელი, დაწყევლილი იქნა ღვთისგან და დაწყევლილ იქნა საქმენი მისნი. და აი, ეს ხალხი, რომლებსაც დღეს ხარაჩოებზე ხედავთ, აგრძელებენ საქმეებს კაენისას.

– რომელ საქმეებს? ძმის კვლას? – კვლავ ჩაეკითხა მამბზარა ტურისტი.

– ქალაქის მშენებლობას ვგულისხმობ. – დაიღრიალა გიდმა.

დანიელი და ანა ჩამოშორდნენ ტურისტთა ჯგუფს და პარკის გავლით ანას სახლისკენ აიღეს გეზი.

– უფლისწულო, თუ იცი, მომიყევი ვინ იყო კაენი?

– კაენი, ძმის მკვლელი არ გაგიგია? ადამის და ევას შვილები იყვნენ აბელი და კაენი, კაენმა შურის გამო მოკლა აბელი, ამისთვის ღმერთმა დაწყევლა იგი.

– სად არიან ახლა ისინი?

– აბელი ღმერთთან, კაენი კი ჯოჯოხეთში, იქ არის კაცისმკვლელთა ადგილი.

ამის თქმა იყო და ზარების ხმა გაისმა, ხმა ეკლესიის სამრეკვლოდან ისმოდა, რომლის გუმბათი ხეებს ზევით მოჩანდა. ზარების ხმას გალობა მოყვა. რომელსაც დანიელმა და ანამ ბოლომდე მოუსმინეს, შემდეგ პარკს გასცდნენ, და ანას სახლისკენ მიმავალ ქუჩას გაუყვნენ. მოსალამოვდა, ქალაქს ნაცრისფერი ღრუბელი გადაეფარა. რამოდენიმე საათის წინ კარნავალით გამზიარულებული ქუჩა სიჩუმეს მოეცვა. ცარიელ ქუჩაში ახალგაზრდების ყურადღება უპატრონო თეთრმა

ცხენმა მიიპყრო, რომელიც თავისი მარტოობით ქუჩას კიდევ უფრო მოსაწყენს ხდიდა. გოგონამ ხელი ჩაჰკიდა დანიელს, ერთი სახლის, ერთ სადარბაზოსთან მიიყვანა, კიბის ერთ საფეხურზე შედგა, რითიც უფლისწულს სიმაღლეში გაუტოლდა.

– ეს ჩემი სახლია. მოვედით, ეგებ ახლა მაინც მოიხსნა ნილაბი...

– რა აზრი აქვს?..

– მაინტერესებს, ეს ის უფლისწულია, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდი... თუ საშინელმა გონჯმა მომაცილა სახლში?..

– თუ ასე გაინტერესებს, თვითონ მომხსენი...

გოგონამ დანიელს ხელები მხრებზე გადახვია და ისე შეხსნა ნილაბი. ძალიან კარგი, გაიფიქრა გოგონამ. გოგონას კმაყოფილმა თვალებმა დანიელი გაახარა. სიჩუმე რამდენიმე წამი გაგრძელდა. სიმყუდროვე სადარბაზოდან გამოსულმა გოგონას მეზობელმა დაარღვია.

– სალამო მშვიდობისა ანა, სწორედ შენი ნახვა მინდოდა, გენაცვალე, იცი რას გეტყვი, აქედან მოაშორეთ ეგ თქვენი მამალი, გუშინ მთელი ღამე არ დამაძინა, ბოლოსდაბოლოს რა უნდა მამალს ქალაქში?

მეზობელი პასუხს არ დაელოდა, ისე გაეცალა იქაურობას.

– რა მამალი? – სიცილით იკითხა დანიელმა.

– ჩემებმა იყიდეს, სოფელში ბებიასთან წასაყვანად, თვითონ წავიდნენ მამალი კი დარჩათ. აივანზე მყავს დაბმული, ხანდახან უდროოდ ყივის, მეზობლები გამიგიჟა.

– შენი ბებია რომელ სოფელში ცხოვრობს, ანა?

– ჩვენი სოფელი მდინარის ნაპირზეა, დედაქალაქისკენ მიმავალ გზაზე.

– მართლა? მე ხვალ მიწვევს დედაქალაქში დაბრუნება, ასე რომ შემიძლია შენც და შენი მამალიც გაგასეირნოთ.

– თანახმა ვარ, ოღონდ არ მომატყუო.

– მე არასდროს ვიტყუები, აუცილებლად გაგასეირნებ.

\* \* \*

დანიელი დაემშვიდობა ანას და ლამის გასათევად კვლავ მღვდელს ეწვია. ივანეშამა და საავადმყოფოდან წამოღებული ხელნაწერის კითხვას შეუდგა.

– დანიელ, რას კითხულობ ასეთი ინტერესით? – იკითხა მღვდელმა.

– ხელნაწერს, რომელსაც სათაური არა აქვს და არც არის დამთავრებული, ბოლო ფურცელი ცარიელია, ვერ მოუსწრია იმ სანყალს. გინდათ მოკლედ მოგიყვებ?

– სიამოვნებით მოგიმეცნებ.

დანიელი ხელნაწერის კითხვას შეუდგა.

– ერთ შორეულ ქვეყანაში, დაბურულ და ნისლიან ტყეში, ყველა საგან განმარტოვებით, ცხოვრობდა მამა და ათი ვაჟი. ცხრა ახოვანი და ლამაზი ვაჟი, ხოლო მეათე, ყველაზე უმცროსი, მახინჯი და ავადმყოფი. ერთხელ მამამ განუცხადა შვილებს – „მოვა დღე, როცა ყველას გამოგანყობთ ლამაზ ტანსაცმელში, შეგსავთ ცხენებზე და გაგიშვებთ შორეულ ქვეყნებში, თქვენი ბედისა და საცხოვრებლის მოსაპოვებლად და მხოლოდ ერთს, ჩემს ყველაზე საყვარელ შვილს, დავტოვებ ჩემთან“. ყველამ თავისითავი წარმოიდგინა იმ ერთის ადგილას. და აი, ერთ დღეს, მამამ მოიტანა ათი ლამაზი სამოსი. ეზოში ლამაზად გამოწყობილი ათი ვაჟი იდგა. მამამ ცხრა ცხენი მოიყვანა. სათითაოდ სვამდა შვილებს ცხენებზე და ლოცვით ემშვიდობებოდა. მამას გვერდით მახინჯი შვილი ედგა და ამბობდა: – ნახე მამა, რა კარგია ჩემი ძმა, როგორ მოუხდა ცხენი – აქებდა და ლოცავდა ძმებს და მოუთმენლად ელოდა თავის რიგს. უეცრად ეზოს პატარა ღრუბელმა გადაუარა, და მცირე ხნით წამოწვიმა. წვიმის შედეგად დარჩენილმა პატარა გუბემ უმცროსი ვაჟის ყურადღება მიიქცია. იგი ჩასცქეროდა გუბეს, რომლიდანაც რალაც სიმახინჯე იყურებოდა, გუბე მამასა და შვილს შორის იყო და არ აპირებდა დაშრობას.



ცხრა ძმა გზას გაუდგა, ხოლო მეათე ცხენი აღარ იყო. მამამ დაინახა, რომ უმცროსი შვილი გუბეში თავის მახინჯ სახეს უყურებდა. შვილმა უეცრად ახედა მამას. მამამ არ შეიმჩნია და გზად მიმავალ შვილებს გახედა, მაგრამ მახინჯის მზერამ კვლავ მოუბრუნა სახე. ახლა ისინი თვალეებში უყურებდნენ ერთმანეთს. მზერას საუბარი მოჰყვა:

– მე ვარ ის შვილი, შენს გულს რომ უყვარს ყველაზე მეტად?

– შენ ხარ – უპასუხა მამამ.

– მე ვიცი რატომაც გიყვარვარ. – მახინჯმა გუბეს ჩახედა, და კვლავ მამას შეხედა.

– ეს არ არის სიყვარული, არა, უბრალოდ, მონყალე ხარ, გეცოდები ჩემი სიმახინჯის გამო.

მახინჯს ცრემლები წასკდა, მამას ბაგეებს უნდოდა ეთქვა – არა – მაგრამ თვალეებიდან დაგორებულმა ცრემლებმა ბაგე დაუმუნჯა. ცრემლები დაშრა, გუბე კი არ აპირებდა დაშრობას. ცოტა ხანს უყურა მახინჯმა გუბეს, შემდეგ ერთი ფეხი ნელა ასწია და გუბეს გამწარებით ჩასცხო. სიმახინჯე რომელიც წვიმის გუბეში ჩანდა, წყლის შხეფებმა ათას ნაწილად დაშალა. შვილი მამას ჩაეკრა მკერდში. ცრემლებმა მახინჯი ანგელოზად აქცია, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მახინჯი შხეფები აღარასოდეს შეიკვრებოდნენ ერთად.

– მამა, შენთან ყოფნას არაფერი ჯობია, მაგრამ მეც მინდა წასვლა ძმების მსგავსად შორეულ ქვეყნებში.

შეინყნარა მამამ შვილი, დაელოდა მის სრულწლოვანებას, შესვა ცხენზე და თან დააბარა:

– ძმებთან წერილებს გაგატან, იცოდეთ, მამასთან დაბრუნების ერთნაირი შანსი გაქვთ ყველას. მგზავრობის ნუ შეგეშინდება, მე ყოველთვის შენთან ვიქნები, ერთ წერილს შენთვის გაგატან, მაშინ გახსენი, ძალიან რომ გაგიჭირდება, ბოლოს შეკრიბე ყველა ძმა და მოიყვანე ჩემთან.

ასე დაშორდნენ ანგელოზივით ლამაზი ბიჭი და მამა...

– ასე მთავრდება მოთხრობა? – იკითხა მღვდელმა.

– არა, მამაო, ასე არ მთავრდება, ეს ბიჭი დაივლის ძმებს, მისი ძმები აღმოჩნდებიან ბიბლიის სხვადასხვა დროის ცნობილი ადამიანები, მათ შორის აბელი, კენი, დავითი... უმცროსი ძმა ზოგს გაკიცხავს, ზოგს ჭკუას ასწავლის, წერილებს დაურიგებს, ბოლოს კი თავისთავს უსვამს კითხვას.

– როგორ შევკრიბო ყველა ძმა ერთად და როგორ მივიყვანო მამასთან? – მამაო, ეტყობა ავტორს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა და იმიტომ ვერ დაამთავრა ნოველა. თუმცა... რა ვიცი, ეგებ უბრალოდ ვერ მოასწრო დამთავრება. თქვენ რას იტყვით მამაო?

– საინტერესოა. ღვთიური რჯული და კანონი ყველა დროში უცვლელია, მამასთან დაბრუნება კი ყველას გვინდა, ყველა ძმას და მოყვასს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აპირებდა ავტორი ნოველის დამთავრებას, ეგ თავად ავტორს უნდა ვკითხოთ. დანიელ, შენ არ გითქვამს ვინ არის ავტორი.

– უცნაური დღეებია, მამაო, ჩემს ცხოვრებაში, სხვა დროს არც ვიკადრებდი... ახლა კი დაუკითხავად წამოვიღე ხელნაწერი საავადმყოფოდან. ადრე სხვისთვის მითქვავს ასეთ საქციელზე საყვედური, ახლა კი მე თვითონ... ასე რომ, არც კი ვიცი ვინ არის ავტორი.

– დანიელ, ხელნაწერი აუცილებლად დააბრუნე, იქნებ როგორ ეძებენ. ახლა კი ის მითხირი, ზეიმმა როგორ ჩაიარა.

დაღლილი დანიელი ლოგინზე წამოწვა.

– ზეიმმა მშვენივრად ჩაიარა, ერთი შესანიშნავი გოგონა გავიცანი, გასეირნებას შევპირდი. ერთი, აქ მომცა ჩემი მანქანა, დღესვე გავასეირნებდი ქალაქის ქუჩებში, ხვალ კი სოფელში წავიყვანდი თავის მამალთან ერთად.

– დანიელ, კარგად იცი მანქანის ტარება?

– დიახ, ძალიან კარგად, დედა სულ მე დამყავდა მაღაზიებში მანქანით. რატომ მეკითხები, მამაო?

– იმიტომ, რომ მე მყავს მანქანა.

მღვდელმა მანქანის გასაღები საწოლში მიანოდა დანიელს.

– მათხოვებ, მამაო? დიდი მადლობა, ნუ ინერვიულებთ, მე მართლა კარგად ვატარებ მანქანას.

– დიდი ხანია არ მივლია, სანვავი კი მისხია, გესმის, დანიელ?

\* \* \*

მოსალამოვდა, ნისლისფერმა ღრუბლებმა მთლად დაფარეს ცა. დანიელმა გასაღები ძლივს მოარგო მანქანას. ძრავის ხმას წვიმის ხმაც მოჰყვა. მანქანამ ფრთხილად გაკვალა წვიმიანი ქუჩა. დანიელმა მალაზიის განათებულ ვიტრინაში ყვავილები დაინახა. მანქანა გააჩერა, ანასთვის ლამაზი თაიგული იყიდა. მალაზიიდან გამოსულმა დანიელმა მანქანა უფრო გაბედულად დაძრა, სიჩქარესაც საკმაოდ მოუმატა. გზაჯვარედინზე ნაცნობ თეთრ ცხენს მოჰკრა თვალი, რომელიც კვლავ მარტოდმარტო მიჰქროდა წვიმიან ქუჩაში. ცხენმა ზედ წინა ბორბლებთან ჩაუქროლა დანიელის ავტომობილს. შეშინებულიმა დანიელმა ძლივს მოასწრო საჭის მარცხნივ დატრიალება, შემდეგ კვლავ ცხენს გახედა, ხომ არაფერი დაეშუავეო. ცხენი ლაღად მირბოდა. უეცრად მანქანა ტროტუარზე შეხტა, დანიელმა ორივე ფეხი მუხრუჭის პედალს დააჭირა. ავტომობილის საქარე მინის მიღმა ვილაცის სახემ გაიელვა. დარტყმის ხმა გაისმა, მანქანა გაჩერდა, დანიელი უცბად გადმოსტა მანქანიდან, რამდენიმე მეტრში სისხლიანი ახალგაზრდა ეგდო. დანიელი მივარდა დაცემულს, მხრებში ხელი ჩაჰკიდა და მანქანისკენ წაათრია. სადღაც შორიდან პოლიციის მანქანის სირენის ხმა გაისმა. შეშინებულ დანიელს ხელებში ძალა გამოეღია, მსხვერპლი კვლავ მიწაზე დაანვინა, მანქანაში ჩაჯდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დანიელი მანქანას სწრაფად მიაქანებდა. გამწარებულმა მანქანა იქამდე ატარა, ვიდრე სანვავი არ გამოეღია. მანქანა გაჩერდა. დანიელმა თავი ხელებში ჩარგო. რამდენიმე წამში გონს მოეგო, მიმოიხედა, ახლოს ანას სახლი შეამჩნია. გაზაფხულის

წვიმას სისხლიანი მანქანა გაერეცხა. მხოლოდ დანიელის პერანგი იყო სისხლში გასვრილი. დანიელმა თაიგული აიღო და კარზე ფრთხილად დააკაკუნა, კარი ანამ გააღო.

– უფლისწულო, ეს შენა ხარ? ამ წვიმაში, ასე გვიან როგორ მოხვედი? ანამ დანიელი სახლში შეიყვანა, თაიგული გამოართვა და პირსახოცი მოუტანა.

– გაიმშრალე, არ გაცივდე, პერანგი მომეცი, გაგიშრობ.

დანიელიმა სველი პერანგი გაიხადა და ანას მიანოდა.

– დანიელ, ეს რითი გაგისვრია პერანგი, საღებავია? თუ სისხლი? ანამ სისხლიანი პერანგი ძირს დააგდო.

– გევედრები ანა, ხელები დამაბანინე, მე... მე კაცი მივატოვე, იმ თეთრი ცხენის ბრალი იყო... გახსოვს, დღეს რომ შეგვხვდა... მე მას ავაცილე მანქანა და...

– რა თეთრი ცხენი, დანიელ?

კარებზე ბრახუნის ხმა გაისმა.

– ვინ არის?

– პოლიციიდან ვართ, ახლავე გაგვიღეთ კარი.

ანამ კარი გააღო. პოლიციელები სახლში შევიდნენ.

– მომისმინე ჭაბუკო, უნდა ვიჩქაროთ, ახალგაზრდა ბიჭი ავარიაში მოჰყვა, გონზე არ არის, თავისი მისამართი რომ გვითხრას. ერთადერთი რაც ჯიბეში ედო, წერილია მამისგან, რომელიც ძმას გადაუცია მისთვის, ჩვენ წერილზე აღნიშნულ ძმის მისამართზე მოვედით. ძმა, ალბათ თქვენ ხართ, ამიტომ უნდა წამოგყვეთ, თუ მიუსწრებთ ცოცხალს, თუ არა და მკვდარი ძმის ამოსაცნობად.

გაოცებული დანიელი საწოლზე დაეცა.

– ძმამა? ჩემი ძმა?

– გამაგრდი ჭაბუკო, გამაგრდი, ჩაიცვი და წამოგყვევი, ჩვენ გარეთ დაგელოდებით – თქვა პოლიციელმა.

– მოიცა, მოიცა, ეს რა სისხლიანი პერანგია? ხელებიც სისხლში გაქვს გასვრილი? – დაეჭვდა პოლიციელი.

სიჩუმე ჩამოვარდა, დანიელი სასონარკვეთილი უყურებდა პოლიციელს, შემდეგ ანას გახედა, უეცრად რალაც აზრმა გაუელვა თავში.

– იცით რა, აივანზე მამალი გვყავდა, მეზობლები სულ გვსაყვედურობდნენ მამლის უდროო ყივილის გამო, ჰოდა დავკალი, ცოტა არ იყოს გავისვარე.

– აა... კარგი, კარგი. მალე ჩამოდი, ჩვენ მანქანაში დაგელოდებით. უეცრად ანას მამალმა დაიყვილა, დანიელი გაფითრდა. პოლიციელი შეჩერდა და დანიელისკენ შემოტრიალდა.

– სწორი ყოფილან შენი მეზობლები, ხმა ძალიან გადის თქვენს კედლებში.

პოლიციელები გავიდნენ და კარი მიიხურეს, დანიელმა თავი ხელებში ჩარგო.

– რალა ეხლა დაიყვილა შენმა მამალმა, ჩემ დასალუჰად, რალა ეხლა...

– აბა მამალმა რა იცოდა შენ თუ მოიტყუებოდი, დაწყნარდი დანიელ. მე მგონი ეგენი ვერაფერს მიხვდნენ, გესმის, დაწყნარდი.

პოლიციელებთან ერთად დანიელი პალატაში შევიდა, ექიმი პულსს უსინჯავდა ნაავარიევს, დანიელმა იცნო ბიჭი, რომელსაც მანქანა დაარტყა.

– რას იტყვი, ჭაბუკო, იცანი? შენი ძმია?

– ძმია ჩემი, მოყვასია ჩემი, იგი მამასთან უნდა დაბრუნებულიყო.

– იგი უკვე მამასთანაა – თქვა ექიმმა და ბიჭს თვალები დაუხუჭა. დაღონებული დანიელი საავადმყოფოდან გამოვიდა, სიბნელეში, უაზროდ სადღაც წინ მიაბიჯებდა. ალაცაფის ღია კარებში შევიდა, პირველსავე ქვაზე ჩამოჯდა. დანიელმა ვერ შეამჩნია, რომ ეზო ეკლესიის იყო, ხოლო იმ ქვაზე, რომელზეც იგი ჩამოჯდა, დღისით მათხოვრები სხდებოდნენ ხოლმე. დანიელს თავი ხელებში ჩაერგო და მინას ჩასცქეროდა, უეცრად ხმა მოესმა.

– ჩაიწიე! ეს ჩემი ადგილია!

დანიელს არც აუხედავს, ისე გადაჯდა მარცხნივ, სხვა ქვაზე. ხმა კიდევ გაისმა.

– კიდევ ჩაინიე! ეგეც ჩემი ადგილია!

დანიელი კვლავ თავაუწნევლად გადაჯდა მარცხნივ. მის წინ ვილაცამ ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა, ვერცხლის ფულმა ჟღარუნი ზედ დანიელის ფეხებთან გაადინა. დანიელმა ფულს უცბათ დააფარა ხელები, თან გაიფიქრა გვერდზე მჯდომ უცნობზე.

– მას არაფერი დაუყარეს, მოუხდება, ადგილი წამართვა და დაისაჯა.

– ეგ კიდევ საკითხავია, ვინ არის დასჯილი – მოესმა დანიელს.

დანიელმა გვერდით მიიხედა, იქ არავინ ჩანდა და მხოლოდ ხმა, ხმა ისმოდა ეკლესიის ეზოში.

– გიჭირს რამე, დანიელ?

დანიელმა ფულს ცივად გაუშვა ხელი, თვალებით მოსაუბრეს ეძებდა, მაგრამ ამაოდ...

– მიჭირს... ძალიან მიჭირს... მაგრამ რა ვქნა, თუ ეს ცხოვრება ჩემამდე ყოფილა დაწყველილი... მე რას შევცვლი... მე ვის რა უნდა ვუშველო, ჩემი თავისთვის ვერ მიშველია...

– რატომ არ ბრუნდები ჩემთან?

– როგორ, მამა, როგორ, შენი დავალება ვერ შევასრულე და როგორ, ყველა ძმა ვნახე, მაგრამ ვერ შევძელი მათი ერთად შეკრება და შენთან მოყვანა.

– მოისმინე დანიელ, შენთვის დაწერილი წერილი – შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. შეკრიბე ყველა შენი ძმა შენში... მოდი და მოიყვანე ისინი ჩემთან, დანიელ, შენ შეკრებილი გყავს შენი ძმები შენში... რატომ არ მოდიხარ ჩემთან?

– როგორ ჩემში? რას ნიშნავს ჩემში?

დანიელი ამ კითხვებს იმეორებდა და ხოხვით ეკლესიის კიბისკენ მიდიოდა. წვიმას კიბესთან წყლის გუბე დაეტოვებინა, დანიელი გუბესთან შეჩერდა, კარგად ჩაუკვირდა. წყლიდან რალაც სიმახინჯე იყურებოდა. დანიელმა გამწარებით ჩაარტყა წყლის გუბეში ხელი, გუბეში მყოფი სიმახინჯე წყლის შხეფებმა მრავალ ნაწილად დაშა-

ლა. დანიელმა გუბე ოთხით გადაიარა და ხოხვითვე შეუყვა ეკლესიის კიბეს. კიბის ბოლო საფეხურს მიღწეულმა დანიელმა ხელი ეკლესიის კარისკენ გაიწოდა. უეცრად კარი გაიღო, უზარმაზარმა სითბომ და სინათლემ, კიდევ ერთი დილა გაანათა ცოდვილ მინაზე. მღდელი ხელით შეეხო დანიელს.

– გაიღვიძე, დანიელ, გაიღვიძე, უკვე დილაა, გესმის თუ არა, აი, ჩემი მანქანის გასაღები.

– რა გასაღები?

– აღარ გახსოვს, გუშინ რომ მთხოვე მანქანა, გოგონა უნდა გავასეირნოო, მე გელაპარაკებოდი, შენ კი ჩაგეძინა.

– ესე იგი ეს სიზმარი იყო?... მადლობა ღმერთს.

– დანიელ აი, მანქანის გასაღები, არ გინდა?

– არა, არა, გმადლობ, არ მინდა, ეტლით წავალ, სულაც ფეხით წავალ, მანქანას ნუ გამაგონებ.

– რა იყო, რამე ცუდი ხომ არ გესიზმრა, დანიელ?

– მესიზმრა?... რა ვიცი... ეგებ არც მესიზმრა, არ მინდა მანქანით არ წავალ.....

მადლობთ მამაო ყველაფერზე და მშვიდობით.

თბილი დილა იყო. დღესასწაულის მეორე დღე. ქალაქის ცხოვრება ჩვეულ რითმს დაუბრუნდა. ადამიანები სადღაც მიიჩქაროდნენ, ზოგი ავტომობილით, ზოგი ეტლით, ზოგიც ფეხით ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო დროისა და ქალაქური ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ უმონყალო ტემპს. ჟურნალისტებს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოს წინა ტროტუარზე მოეყარათ თავი და რკინის გისოსებს შორის არსებული სივრციდან საავადმყოფოს შენობას უღებდნენ სურათს. ამის შემხედვარე გამვლელები ჩერდებოდნენ. ქუჩაში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. საავადმყოფოსთან დანიელიც მოვიდა. შეკრებილთა ყურადღება ქალაქის მერის და პოლიციის შეფის მოსვლამ მიიქცია.

- ამიხსენი რა ხდება? – მიმართა პოლიციის შეფს ქალაქის მერმა.
- პოლიციაში დამირეკეს და შემატყობინეს შემდეგი: ავადმყოფებს ალაცაფის კარები შიგნიდან დაუკეტიათ. მედპერსონალი პალატაში ყავთ მომწყვდული. ძალის გამოყენებას ნუ შეეცდებით, რადგან ზეიმზე ჩამოსული ჟურნალისტები ესწრებიან ამ აქციას. აქციას შევწყვეტო, თუ ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებთო...
- ვინ გელაპარაკათ?
- საავადმყოფოს მთავარი ექთანი, ერთადერთი ის არ ჩაუკეტავთ ოთახში, მას დაავალეს მოლაპარაკების წარმოება.
- კი მაგრამ, ვინ დაავალა? გიჟებმა? რა ხდება, ვერ გავიგე. თუ იცით მთავარი ექიმიც ოთახში ჰყავთ ჩაკეტილი?
- ჩემი ინფორმაციით ის შვებულებაშია, მისი მოადგილე კი ჩაკეტილი ჰყავთ. ბატონო მერო, ნება მომეცით ჩემს ბიჭებს ვუბრძანო... ხუთ წუთში გაათავისუფლებენ მედ-პერსონალს.
- არა, არა, ასე არ ივარგებს, შენ გეტყობა ჟურნალისტებს არასოდეს გაუმწარებიხარ, მაგას ჯობს მითხრა, რა მოთხოვნები აქვთ.
- პირველი მოთხოვნა, ალაცაფის კარებზე მიკრული აბრა წარწერით საგიჟეთი მოხსენით და მოგვეცითო.
- რა პრობლემაა, ახლავე მოხსენით და მიეცით.
- პოლიციელმა ალაცაფის კარზე არსებული აბრა მოხსნა, საავადმყოფოს შენობიდან გამოსულმა მამაკაცმა გისოსებს შორის გამონვდილი აბრა წარწერით „ფსიქიატრიული საავადმყოფო“ აიღო და ალაცაფის კარებს იგივე სიმალლეზე, ოღონდ უკვე შიგნიდან მიაკრა. ამ შემთხვევაში აბრა გვაუწყებდა, რომ ეზოს გარეთ მთელი სამყარო საგიჟეთი იყო... ამ მოქმედებას გისოსებთან ჩამწკრივებული ხალხი მხიარული სახეებით შეეგება, ზოგმა ტაშიც კი გაიმეტა, ჟურნალისტებმა ფოტოაპარატები ააჩხაკუნეს.
- ესე იგი ახლა ჩვენ ვართ გიჟები? – ჩაილაპარაკა ქალაქის მერმა და ისევ პოლიციის შეფს მიუბრუნდა, – კიდევ რა მოთხოვნები აქვთ?



– დანარჩენს გამოვალთ და თვითონ მოვახსენებთ დამსწრე საზოგადოებასო, უნდა დაველოდოთ... აი, მგონი მოდიან კიდეც.

საავადმყოფოს ზოლიან სამოსში გამოწყობილი პაციენტები და ხანდაზმულთა სახლის ბინადარნი ნელ-ნელა ტოვებდნენ შენობას, უძღურობის გამო ზოგს ყავარჯენი მოემარჯვებინა, ზოგიც ინვალიდის ეტლით მოგორავდა. ხანდაზმულთა შორის მყოფ ძველ მსახიობებს თეატრალური ტანსაცმელი მოერგოთ.

– ეს უცნაური ტანსაცმელი ამათ ვინ მისცა?

– ბატონო მერო, ეს შენობა ადრე თეატრი იყო. ეს თეატრალური კოსტუმები და პარიკები ალბათ ძველი თეატრიდანაა შემორჩენილი. ამბობენ ავადმყოფებსა თუ ხანდაზმულებს შორის ვიღაც რეჟისორი ყოფილა და შენობაში არსებულ ძველ სცენაზე, სპექტაკლებს დგამსო.

– ეგრეც ვიცოდი, ამ ყველაფერს რეჟისორი, ხელმძღვანელი ჰყავს, გაფიცვაც მან მოაწყო, ორგანიზატორიც სწორედ ის იქნება. თუმცა ამას ახლა აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

ავადმყოფებმა მრგვალ ეზოში ნახევარ წრე შეკრეს, წრის მეორე ნახევარს რკინის გისოსები და იქ მდგარი ადამიანები ქმნიდნენ. წრე შეიკრა, იდუმალი წრის ორი ნახევარი რამდენიმე წამით გარინდული უყურებდა ერთმანეთს, ერთ-ერთი პაციენტი ეზოს შიგნიდან ახლად დაკიდებულ აბრას მიუახლოვდა და წარწერის წაკითხვას ცდილობდა.

– რაა? ეს რა დანესებულებაა? აა...

ავადმყოფების წრეს ინვალიდების ეტლზე მჯდომი მოხუცი გამოეყო, რომელიც ხელით ატრიალებდა ბორბლებს და ნელ-ნელა მოგორავდა ალაყაფის კარისკენ. მოხუცს, საავადმყოფოს ზოლიანი პიჟამო ეცვა, თავზე ჯამბაზის პარიკი ედო, სახეზე კი გრიმი ესვა. დანიელმა მოხუცში ბატონი რეჟისორი ამოიცნო. მოხუცი როგორც იქნა, მიგორდა აბრასთან.

– მე წაგიკითხავ, მაგ აბრაზე რა წერია: ფსიქიატრიული საავადმყოფო. გაიგე?

– ვერ გავიგე!

– საგიჟეთია! საგიჟეთი! ეხლა გაიგე? – აუნია ხმას მოხუცმა.

– რაა?... რა... ესენი გიჟ... გიჟები? ამდენი?

– ნუ იცინი, გაჩერდი ახლავე, ცოდვაა ავადმყოფებზე სიცილი.

ეტლში მჯდარი მოხუცი გისოსების გასწვრივ ნელ-ნელა მიგორავდა და გაკვირვებულ ხალხს ათვალიერებდა.

– ამდენი წელია გიყურებდით გისოსების მიღმა და ვფიქრობდი ვინაა ნეტავ ეს ხალხი, ძლივს არ გვალირსეს ერთი აბრა წარწერით, თურმე საგიჟეთია, სანწყლები, სანწყლები, როგორ მეცოდებოდა. შეხედეთ, შეხედეთ, რა დაღლილი სახეები აქვთ, ხალხნო, როგორ ხართ მანდ? რას ქამთ? ან რას სვამთ? სად გარბიხართ ყოველდღე ა..? ეგებ დაწყნარდეთ, დამშვიდდეთ ცოტათი...

მოხუცმა ეტლი თვალეზრაცვინილ მოქალაქესთან შეაჩერა.

– ამას წამალი სჭირდება, თვალეზრაცვინილ ეტყობა, რომ ნერვიულია.

ერთერთმა პაციენტმა თვალეზრაცვინილ მოქალაქეს წამლები მიანოდა. მოქალაქემ უნებურად გამოართვა წამლები, მაგრამ გაკვირვებისგან, ხელი გაშეშებული დარჩა ლობის შიგნით, მოხუცმა გზა გააგრძელა.

– ნახეთ ბავშვებიც ჰყოლიათ სანწყლებს, ეს, ეს რა გამხდარი ქალია?... ამას ქამა აკლია, აშკარად აკლია, მიეცით მას საჭმელი.

ისევ იმ პაციენტმა, ჩანთიდან ამოიღო კონსერვის ქილები, და ქალს მიანოდა. ქალი არ იღებდა.

– აიღეთ, ნუ გერიდებათ გეთაყვა, გამოართვით, აბა, ჩვენ რისთვისა ვართ, ერთმანეთს თუ არ დავეხმარეთ... – შეუტია მოხუცმა.

ქალმა გამოართვა და თვალზე ცრემლი მოადგა...

– ნუ ჩავარდებით სასონარკვეთაში... იცოდეთ რომ ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით ვართ და არ მიგატოვებთ. ხანდახან გაჩერდით ხოლმე ლობესთან, ახლოს მოდით, ან წამალს მოგცემთ, ან საჭმელს, ან სანუგეშო სიტყვას გეტყვით რამეს. ნუ ტირით, ყველანი მალე გამოჯანმრთელდებით.

– ჩვენ გვაპატიეთ ეს დღე – უთხრა თვალცრემლიანმა ქალმა მოხუცს.

– ღმერთმა გვაპატიოს ყველას... ახლა კი, თქვენთვის ერთი სიმღერა გვაქვს მომზადებული.

პაციენტებმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს, ეზოს შიდა ნახევარწრის კიდეებში მდგარმა ორმა ავადმყოფმა, რკინის გისოსებს მიღმა მყოფ მოქალაქეებს ჩაჰკიდეს ხელი. იღუმალი წრის შუაში საავადმყოფოს ზოლიან პიჟამოში გამონყობილი ახალგაზრდა ბიჭი გამოვიდა და სევდიანი ხმით შეასრულა საგალობელი, ეს იყო ადამიანთა ცოდვების შესაწყნარებელი ვედრება უფლისადმი... ხალხის თვალეში სევდა იკითხებოდა. გალობის დამთავრებამდე საავადმყოფოს შენობაზე პლაკატი ფარდასავით ჩამოიშალა, წარწერებით – „გავიყვანეთ ძველი შენობიდან“, „თქვენც დაბერდებით“. სიმღერა დამთავრდა, ცრემლმორეული მოქალაქეები ტაშს არ იმურებდნენ. ჟურნალისტები სურათს სურათზე იღებდნენ. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა კითხვით მიმართა ქალაქის მერს.

– ბატონო მერო, რას იტყვით ყველაფერ ამის შესახებ?

– მე დღესვე დავივლი ქალაქის მისადგომებთან არსებულ ყველა შენობას, რომელიც მერიის განკარგულებაშია და გპირდებით, ეს პრობლემა აღარ იარსებებს. ხვალვე გავიყვან ამ ხალხს ამ ძველი თეატრის შენობიდან და თეატრის აღდგენასაც დავინწყებთ. იმედია, კარგ რეჟისორსაც ვიპოვით სადმე. დროა გიჟებსაც გადაუწყვიტოთ თავისი პრობლემები, დროა... – ხმამაღლა უპასუხა მერმა.

სავადმყოფოს ალაყაფის კარი გაიღო. დანიელის გარდა ყველა საავადმყოფოს ეზოში შევიდა, ავადმყოფებს ეხვეოდნენ, ულოცავდნენ, მადლობას უხდიდნენ ბრწყინვალე წარმოდგენისთვის. დანიელი ქუჩაში დარჩა და იქიდან აკვირდებოდა ინვალიდის ეტლზე მჯდომ მოხუცს. მოხუცებული გისოსებისგან ზურგით იჯდა და ეზოში ამტყდარ ქაოსს უყურებდა. მან თითქოს იგრძნო დანიელის მზერა... ნელ-ნელა მოატრიალა ეტლი, ხმაამოუღებლად შეხედა დანიელს, მოხუცს ცრემ-

ლი მოადგა, ხელით მოიწმინდა, ცრემლი ვერ შეიკავა, ცხვირსახოცით შეეცადა... სველ ცხვირსახოცს გრიმი აჰყვა სახიდან...

– ბიძა ეზეკ, ნუთუ ეს შენ ხარ? აქამდე როგორ ვერ გიცანი, ეს ნილაბი, ეს გრიმი, ეს ბატონი რეჟისორის მაკიაჟი ძალიან გცვლის...

– შენ ცდები, დანიელ, მაკიაჟი და ნილაბი, ჩემთვის მთავარი ექიმობაა... ის კოსტუმი, ადმინისტრაციული ტონი, ეგ არის ნილაბი ჩემთვის... ეს კი მე ვარ, ნამდვილი ბიძაშენი... ხომ გაიგე დანიელ, მთავარი ექიმი შვებულებაშია. ის აღარ დაბრუნდება შვებულებიდან, იმიტომ, რომ მე ცუდი ადმინისტრატორი ვარ... ცუდი... განა საავადმყოფოს შენობის პრობლემა გაფიცვითა და სპექტაკლით უნდა გადამენწყვიტა?

– სამაგიეროდ, შენ კარგი რეჟისორი ხარ... კარგი კი არა, ბრწყინვალე, მსახობიც უმაღლესი, არა, არა, როგორ ვერ გიცანი, ბიძი, სპექტაკლის დროს, ყელი მაგრად გატკინე ბიძი, ერთი რომ გეთქვა, განა ეგრე ჩამოგფხაჭნიდი ყელს.

– დანიელ, აბა კარგად გაიხსენე, იმ სცენაში რომ მეცი და მახრჩობდი მე სასონარკვეთით გითხარი, ისე რომ მაყურებელს არ გაეგო – „ბიძაშენს ეზეკს ვერ ცნობ, ჭაბუკო“, – შენ კი ისე იყავი როლში შეჭრილი, ხეზე გაკრული, მახვილგაყრილი გეგონე.

– როლში რომ შევიჭერი, ეგ რეჟისორის... უმოწყალო, მაგრამ ბრწყინვალე რეჟისორის ბრალია. გუშინ ზეიმზე შენი ლექსიც მოვისმინე, მე მიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი ბიძა მყავს. ახლა კი ერთი რამე უნდა დაგიბრუნო, მეშვიდე პალატიდან ხელნაწერი ნამოვიღე, თავიდან ხელნაწერი იმ პალატიდან განსვენებული ავადმყოფის მეგონა, რომ ნავიკითხე, დავრწმუნდი რომ ეს გიჟის დაწერილი არ იყო, არ ვიცი იმ პალატაში როგორ მოხვდა ხელნაწერი რომელიც შენ გეკუთვნის...

დანიელმა გისოსებს შორის მიაწოდა ბიძამისს ხელნაწერი, ეზეკმა გამოართვა და მკერდზე მიიღო.

– ასე მგონია, მთელი ცხოვრება ამას ვწერდი და ვცხოვრობდი ამ აზრით, ვეძებდი გაბნეულ ძმებს და ვერ ვახერხებდი მამასთან მიყვანას.

– ბიძი, ეგ ისტორია არ არის დამთავრებული, ეგებ მომიყვე როგორ აპირებ დამთავრებას?

ეზეკმა ხელნაწერი დაუბრუნა დანიელს.

– შენ წაიღე ხელნაწერი, შენ ხარ მაგის გაგრძელება, ეს შენ უნდა დაამთავრო და მომიყვე თუ როგორ შეკრებ ძმებს და მიიყვან მამასთან.

– კი ბიძი, კი, მე დავამთავრებ, მე ვიცი, როგორ უნდა დავამთავრო.

– რა იცი, დანიელ?

– ვიცი, ვიცი.

– მთელი ცხოვრება ვენვალე და ვერ შევკრიბე ძმები, შენ კი ერთ დღეში აპირებ შეკრებას, ეგებ უკვე შეკრიბე კიდეც?

– კი შევკრიბე, შევკრიბე ჩემში.

– როგორ შენში?

– მე ვნახე ჩემი ძმები და განვიკითხე ყველა მათი ცოდვებისთვის, ყველა ძმის ცოდვა ამედევნა და წინ დამხვდა საცდურად და ყველა ცოდვით დავეცი, ყველა ძმის ცოდვა ჩემში შევკრიბე.

– მერე როგორ დამთავრდა ეგ ყველაფერი?

– აღსარებით მამასთან.

– აღსარებით? ბრწყინვალეა, ბრწყინვალე, უკეთესად ვერ დავწერდი, ღმერთი შენკენ, ჩემო საყვარელო და ნიჭიერო ძმისწულო.

ბიძია ეზეკმა გისოსზე შემოხვეული ჭაბუკის ახალგაზრდა ხელს თავის დაკოყრილი ხელი შემოხვია, დანიელმა მეორე ხელი ზემოდან დაადო.

– დანიელ, დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი მართლა ესწრებოდა იმ სპექტაკლს, ძალიან მოეწონე, მოსაწვევიც დატოვა შენთვის.

– გმადლობ, მაგრამ მე არ მინდა მსახიობი გავხდე... ბიძი, შენ ეტლს შემპირდი დედაქალაქში დასაბრუნებლად. ეტლი არ ჩანს, დრო კი მიდის, ბიძი, ხომ არ იცი რა დროა?

– მალე 6000 წელი შესრულდება, დანიელ, 6000...

– რა დრო გასულა ერთ კვირაში...

– დიდი არაფერი... უფრო სწორად, დიდი არაფერი შეცვლილა ამ დროში, ისევ იბრძვის სიყვარული და სიძულვილი, ისევ ისე ყვიან მამლები...

– კი ბიძი, მამლები ძალზე დროულად ყვიან...

– დანიელ, ვილაც გოგონა გეძახის მამლით ხელში, აი, ეტლიც გამოჩნდა, მშვიდობით, დანიელ . . .

## **დასასრული**

## ერთოთახიანი მოთხრობა

- დაბადება, ანუ სევედიანი ნახალოვკა.
- გაქცევა.
- თვითმკვლელობა.

### დაბადება

1963 წლის 3 სექტემბერს, მე დავიბადე ნახალოვკაში, I სამშობიაროს მესამე ბლოკში. 7 დღის მერე ერთოთახიან „ჟაქტის“ ბინაში გადამიყვანეს. დღესაც არ ვიცი კარგად ამ ტერმინის მნიშვნელობა, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ჩემს ზრდას. ძალიან ნელა ვიზრდებოდი... რთულად ვითვისებდი სამყაროს და მაინც ვიზრდებოდი და პატარა აივნებიდან, ნელ-ნელა შევიცნობდი ჩემს წინ საომარი კარვებივით გაშლილ ბარაკის ტიპის ქოხმახებს, ნახევრად ჩამონგრეულ აივნებს, კედლებზე უშველებელ ბზარებს, გამოფიტულ და ჩამომდნარ კარებებს, ალვის ხეების წრეს და საერთო ეზოს, რომელიც „კიტაისკი დვორის“ სახელით იყო ცნობილი. აქ ცხოვრობდნენ, რობერტა, ჩორნა, ვოვა, ვახტანგი, ოლიფანტი, კურო, ჯამალა, ჯონდო, მერუჟანა... ამ მოზაიკის გამო გაცილებით გვიან მივხვდი რომ მე, თურმე ჩემ სამშობლოში ვცხოვრობ, რომელსაც საქართველო ჰქვია.

ჩვენი ეზო სხვადასხვა ეთნოსის გადაკვეთის ადგილსამყოფელს ჰგავდა. ამ მიკრო სამყაროში ინტერნაციონალური – აზელილი აზროვნება იყო გამეფებული რაც მეტად რთული ასათვისებელი იყო. ქართველები მართლმადიდებელნი ვიყავით, სომხები – მონოფიზიტები, რომლებიც ქრისტეს ადამიანურ ბუნებას უარ-

ყოფდნენ, ებრაელები რჯულის კანონს იცავდნენ. იეზიდები და ქურთები კი კერპთაყვანისმცემელთა მოდგმის წარმომადგენლებად გვევლინებოდნენ... სხვაობა მარტო რწმენაში არ იყო... ენა, ადათნესები, საქციელი... ბუნებაში მომხდარ მოვლენებსაც კი სხვადასხვანაირად აღვიქვამდით... მსურდა ამეხსნა, მაგრამ ვხვდებოდი აზრი არ ჰქონდა... მათ არ აინტერესებდათ როგორ აღიქვამენ სამყაროს სხვები... ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქურთები, რომლებიც მზეს ეთაყვანებოდნენ, ხოლო ქარი, მათი აზრით, ხეების მიხვრა მოხვრის გამო წარმოიქმნებოდა.....მათ თავად უკვირდათ როგორ ვერ ხვდებიან სხვები იმას, რომ ქარი სწორედ იმ დროსაა, როდესაც ხეები ირხევინან... ანუ მათი აზრით ხეები წარმოქმნიდნენ ქარს...

არსებული სხვადასხვა კულტურათა გადაკვეთა ეზოს ეგზოტიკურ იერსახეს სძენდა. იყო საკითხები, რომლებშიც ვერასდროს ვერ შევთანხმდებოდით, ამიტომ კამათსაც აზრი ეკარგებოდა, მაგრამ თანაარსებობა გარდაუვალი იყო, აქ გაიგებდით წინადადებას რომელშიც სხვადასხვა ენიდან ამოკრეფილი სიტყვები იღებდნენ მონაწილეობას და ეს ინტერნაციონალური ენა ყველას გვესმოდა. ენის გარდა, ჩვენ სამოსის ფერი გვაერთიანებდა. შავი ტანსაცმელი ეცვა ყველას: ქურთებს მონონდათ ეს ფერი. დალუპულთა ახლობლებს წესი ავალდებულებდათ, ხოლო დანარჩენნი შავი გაგების საპატივსაცემოდ იკაზმებოდნენ შავად. მოკლედ, ყველაფერთან ერთად, ნახალოვკას ფერიც სევდიანი ჰქონდა.

უბნელები-ტროტოარზე ჩაკუზული ახალგაზრდები – ძირითადად მომავალზე ფიქრობდნენ, ცალკეულ ბრიგადებად იყოფოდნენ და მთელ ქალაქს ედებოდნენ ავტობუსებში მგზავრების გასაძარცვად, ნაშოვნი ფული კარგ ბიჭებთან აჰქონდათ, რაც მათ მომავალს უზრუნველყოფდა. თუ ვინმე მუშაობისას ჩავარდებოდა და ციხეში მოხვდებოდა, იცოდა რომ „ობშიაკში“ მას ქონდა თავის წილი შეტანილი, შესაბამისად მასაც არ დატოვებდნენ უყურადღებოდ და მომავალსაც



უბოძებდნენ. ბევრი იჯდა, ზოგი ახალი გამოსული იყო, ზოგს ხვალ ზეგ უპირებდნენ...

ჩაკუზულები ციხეში მყოფ პატიმრებს ჰგავდნენ, რომლებსაც საკანში პატიმართა სიმრავლისა და სანოლების სიმცირის გამო, წლობით უწევდათ ამ მდგომარეობაში ყოფნა. ეს პოზა არა მარტო საქმეთა გასარჩევად გამოიყენებოდა, არამედ ეს იყო ციხეში მყოფი ძმების მიმართ გამოხატული ერთგვარი სოლიდარობა... და პროტესტი გარე სამყაროს მიმართ...

დროდადრო, ჰიპის იერზე მდგარი სოტერო ფანჯარას შეაღებდა, საიდანაც უზარმაზარი ბაბინებიანი მაგნიტოფონი „ფარფლები“, „იურა ჰიპის“ და „პინკ ფლოიდის“ ჰანგებით ამარაგებდა ჩვენს უბანს. მძიმე მუსიკა ძალზე უხდებოდა, ჩაკუზული უბნელების სამოსის ფერსაც და მათ ნაადრევად დატანჯულ სახეებს. ყოველთვის ვშიშობდი, სოტერო არ დაეჭირათ, ვინაიდან ის თავისი საქციელით დასავლურ მუსიკას უწევდა პროპაგანდას, თანაც სად? საბჭოთა საქართველოში, თბილისში, ლენინის რაიონში... ანუ ნახალოვკაში. ის არ დაუჭერიათ, ალბათ იმიტომ, რომ სინამდვილეში ეს უბანი იყო ნახალოვკა, ხოლო ქალაქის გეგმაზე-ლენინის რაიონი. პარტმუშაკებს ნახალოვკელთა მუსიკალური ორიენტაცია დიდად არ აღელვებდათ, ვინაიდან აქ მუშებისა და ქურდების უბანში სხვა პრობლემები გაცილებით მძაფრად იდგა. ამიტომ ჩვენთვის სოტერო დასავლეთში გასახედი ერთადერთი ღია სარკმელი იყო, რითიც სარგებლობდა ჩვენი უბანის როგორც ფეხზემდგომი, ასევე ჩაკუზული მსმენელი.

როცა ჩაკუზულებს ჩაუვლიდი უნდა შესაბამისად მისალმებოდი, სახე ცოტა შენც უნდა მოგეღრიცა და გეჩვენებინა რომ შენც პატივს სცემთ როგორც მათ მუსიკალურ, ასევე ცხოვრებისეულ მიმდინარეობას. ხანდახან ფულიც უნდა გაგელო ობშიაკში.

მე ქუჩაში ვერ ვქაჩავდი, ძირითადად ჟარგონის დამახსოვრება მიჭირდა, ჩემი სახის მიამიტური გამომეტყველებაც დიდი ნაკლი იყო, აშკარა მინუსი...

ყველაფერს ბედი უნდა... ისინი კი ბუნებრივად ისეთ „როჟაზე“ იდგნენ, რომ მაგარი მომავალი ელოდათ, მე კი სახეს თუ არ მოვიგრეხდი ტროტუარზეც კი ვერ ჩამოვჯდებოდი მათთან... არა... ქუჩაში აშკარად ვერ ვქაჩავდი, მაგრამ რა მექნა ამ უბანში დავიბადე, ერთადერთი, რაც მშველიდა, ის იყო რომ მამაჩემიც ციხეში იჯდა, და კაი კაცის შვილის სახელს ვატარებდი.

სკოლაში, ძირითადად 2-ებზე და 3-ებზე... ანუ არ ვსწავლობდი. ხატვა მიყვარდა და გეოგრაფია... კიდევ... ღამით ჩუმიად ვწერდი ლექსებს, ცოტას ვხატავდი კიდევ. შინაგანად ვგრძნობდი რომ ეს ნახალოვკელისთვის შეუფერებელი საქციელი იყო...

რა ლექსები... რა რომანტიზმი... აქ რეალური უნდა გებაზრა, ძმაო... დავწერდი და ისევ ტროტუარზე ჩამოვჯდებოდი სახესაც დავაგრიმასებდი რომ არავის შეეტყო ჩემი ღამის საქმეები. ვერავის ვერ ვაჩვენებდი ნაღვანს. რის გამოც მეგონა ყველაზე კარგად ვწერდი. მერე წიგნებში ვნახე ადამიანები, რომლებიც ჩემზე კარგად წერდნენ და თავი დავანებე წერას...

მეგონა, ყველაზე მაგრად ვხატავდი. მერე ვნახე ადამიანები, ვინც ჩემზე უკეთესად ხატავდნენ და თავი დავანებე ხატვას...

მოკლედ, მეგონა რომ მეგონა... მაგრამ მერე ვნახე ადამიანები ვისაც ჩემზე მეტად ეგონათ... და ისევ დავინწყე ხატვა. ეს ყველაფერი დროდადრო მეორდებოდა, საკუთარი „ეგო“ კმაყოფილდებოდა და დროც გადიოდა...

წყნარი უბანი იყო ნახალოვკა, 2-3 თვეში ერთხელ თუ მოხდებოდა მკვლევლობა. ისიც მეორე დღეს „სხადნიაკზე“ გაიგებდი ახსნას ავტორიტეტებისგან:

– დასაბრედი იყო... წყნარდებოდი!

ყველაფერი კანონზომიერებას ექვემდებრებოდა. დღე დღეს მისდევდა, წელი-წელს... ხანდახან ხეები შეირყეოდნენ, ქარს ამოვადებდნენ და ისევ წვიმდა... და კიდევ ერთი წელი... დღეების უმეტესობა ერთმანეთს ჰგავდა. ხშირად საუზმედ-თბილი მზე, ვახშამად კი ხან ახალი

ხან კი ძველი მთვარე, მურაბიანი ჩაით და ვან გოგის „მზესუმზირები“  
კედელზე... ერბოკვერცხზე გადავლილი ახალი წლები, ხან უიმედო-  
ბას, ხან ცხოვრების ჟინს მიღვივებდა სადღაც სულის სიღრმეში.

ჩემს ერთოთახიან სასახლეში ყველაზე კარგად ბაბუის – აკაკი ჯავა-  
ხიშვილის – სურათი მახსოვს და მისი დანატოვარი აკორდეონი. ის ერთა-  
დერთი ნივთი იყო, რომელიც ფენდა ფერადოვნებას ჩემს ბნელ სახლს.  
დედა გარდერობში ინახავდა მას, გამოვიღებდი და მისი ფერადოვნებით  
ვტკბებოდი, ფარშევანგს შეშურდებოდა მისი ლილაკების ფერები. დედა  
სასწრაფოდ აბრუნებდა აკორდეონს გარდერობში, მიკვირდა, რატომ  
აფარებდა მას ტილოებს, თითქოს მალავდა, ვერ ამეხსნა რატომ...

ვიდრე ნათესავებმა არ წაგვართვეს...

– თქვენ რად გინდათ, მაინც ერთოთახიანში ცხოვრობთო...

კარგი უბანი იყო ნახალოვკა, კარგი ხალხიც ცხოვრობდა, ჰქონ-  
დათ ამ უბნისთვის დამახასიათებელი უცნაურობები და ჩვევები, ისეთ  
ტრადიციებსაც ნახავდით რაც რთული ასახსნელი იყო სხვა უბნე-  
ბისთვის, თუმცა ყველაფერს ეგუებოდი... მთავარი იყო ნახალოვკე-  
ლის იმიჯი შეგენარჩუნებინა და ყველაფერი წესრიგში იქნებოდა...

ერთხელ უბანში გაბაზრდა ანზორ მიქაძე ხატავსო... მეც ვიცოდი,  
ანზორი რომ ხატავდა, მაგრამ არავისთვის მითქვავს. არ ვიცი, ვინ  
გაუბაზრა, ეს ნახალოვკელისთვის შეუფერებელი საქციელი.... მაინ-  
ტერესებდა, უბნელები როგორ აღიქვამდნენ ამ ამბავს.... ანზორმა  
ჭკუა იხმარა და ქალაქის ცენტრში გადასახლდა, იქ მან ირაკლი გა-  
იცნო, ფარჯიანი, და დიდი მხატვარი გახდა, მეც გამაცნო ირაკლი,  
ფუნჯებიც მაჩუქეს... დიდხანს ხატავდნენ ასე ერთად, ორი მეგობარი  
სანამ ირაკლი უკეთეს ადგილას არ წავიდა...

სკოლის დამთავრების ასაკმა მოანიჭა. ერთერთ მეზობელს დამცი-  
ნავად უთქვავს დედაჩემისთვის:

„არგამასუმადმო“... შენი შვილი და უმაღლესი?..

დედამ ორ დღეს წნევა ვერ დაიგდო. მე მის გულში ცეცხლს ნავთი  
დავასხი:

– დე, მართალია მეზობელი ნახალოვკიდან... თანაც ერთოთახიანი-დან უნივერსიტეტში მონყობილი არ გამიგონია და ჩვენ რა გვინდა იქ?...

– დედას მოთმინების ფიალა აევესო და მეორე დღესვე რეპეტიტორთან გამამნესა ვაკეში.... ადრე-გამეგო, ახლა კი ახლოს ვნახე, ვერა, ვაკე... ვაკეში ყველაფერი უცხო იყო ჩემთვის. ნახალოვკელები მძიმე როკს ვუსმენდით აქ კი „ბითლსებს“, „ჯოდასენს“ და სხვა უფრო მხიარულ მიმდინარეობით, ილაბუნებდნენ ყურთასმენას... ნახალოვკაში „ბუტილკა“ შარვლებში ვიზმანებოდით, ვაკეში „შლაქსებზე“ გადასულიყვნენ. მათი სამოსის ფერადოვნება მხიარულ განწყობაზე გაყენებდა ადამიანს და ღროებით სევდიან ნახალოვკას გავიწყებდა. ვაკიდან ნახალოვკაში დაბრუნება დროში დაბრუნებას გავდა და პირიქით...

ერთადერთი ნაცნობი, რომელიც ვაკეში ვნახე მზე იყო, აქაც იგივე მზე ანათებდა, რაც ნახალოვკაში... ეს წარმოუდგენლად მიმაჩნდა, სადღაც მიხაროდა კიდეც... ამ ორ სამყაროს ჰქონია რაღაც საერთო, მაგრამ მზის სხივთა ანარეკლები ვაკეში მაინც სხვა იყო, რასაც ყვავილების მალაზიის სიმრავლე და უბნის მკვიდრთა სამოსი უწყობდა ხელს. ვგრძნობდი, შინაგანი სამყარო არ მქონდა ნაკლები, მაგრამ სამოსით, ქცევის მანერით და იმ ჟარგონით, რაც სევდიანმა ნახალოვკამ მასწავლა, აქ, ვაკეში გოიმის სტატუსს ვიმსახურებდი. სოფლელებსა და ვაკელებს შორის ნახალოვკელებს მყარი პოზიცია გვეჭირა, ეს რაღაც გარდამავალი ადგილი იყო შავთეთრიდან ფერადოვნებისკენ და პირიქით...

## გაქცევა

თავნაკრული, ვაკელი რეპეტიტორი მომიახლოვდებოდა, დამხედავ-  
და, ამიხსნიდა... მერე სამზარეულოში საცვლებს აუთოვებდა, ისევ  
დამიბრუნდებოდა, აივანზე გავიდოდა, სარეცხს გაფენდა და ისევ  
მიბრუნდებოდა... ძალიან მლლიდა... ძალიან...

ფილოლოგი ხანშიშესული არ იყო, მაგრამ სახეზე მაკიაჟის სქელი  
ფენის გამო მოლაპარაკე ცვილის ფიგურას წააგავდა. გრამატიკას  
მასწავლიდა, სინონიმებს, ანტონიმებს, პრეფიქსებს და სუფიქსებს.  
მძულდა სწავლა, რადგან წესების დაზეპირებაში ვერაფერს ვხედავდი  
რომანტიულს, მე კი ოცნების გარეშე არ შემეძლო... მძულდა სწავლა,  
მაგრამ დედას ვერ ვეუბნებოდი უარს.

– მიუღლე სიტყვები, გადაიმეორე სუფიქსები...

გაცემდა ბრძანებას ცვილის ფიგურა და კვლავ ოჯახის საქმეებით  
კავდებოდა. აივანზე ჩრდილში მოქცეულ სარეცხის თოკებს მზისკენ  
წევდა, ახლად დარეცხილი ტრუსები მზეზე ცისკროვდებოდნენ... შემ-  
დეგ ისევ ოთახს უბრუნდებოდა. საშინაო დავალებას მაძლევდა.

– სუფიქსები არ დაგავინყდეს... გადაიმეორე.

სუფიქსები ეტყობა ტრუსიკებზე გაახსენდა – გავიფიქრე გუნებაში  
და სიცილი ვერ შევიკავე... ცვილის ფიგურას სახე შეეცვალა, სიგა-  
რეტს ნერვიულად წაუკიდა, რვეული გამომართვა, წაიკითხა:

მე ვქმნი პრობლემას...

შენ ქმნი პრობლემას...

ის ქმნის პრობლემას...

მე მიქმნიან პრობლემებს...

თანაც ეს ყველაფერი მოხატული მქონდა სხვადასხვა ფიგურით...

აშკარად არ მოეწონა, გვერდზე ოთახში გავიდა და დარეკა. მისი ხმა  
არ მესმოდა, მაგრამ, მიმიკებიდან გამომდინარე, მივხვდი დედაჩემ-  
თან რეკავდა...

დავიღალე, მე მიქმნიან პრობლემას...

რა მელის სალამოს? ვაკიდან სევდიან ნახალოვკაში დაბრუნება და დედის საყვედურები, დავიღალე, გადავიღალე...

სამზარეულოს გავლით სახლი ჩუმად დავტოვე, გზად უთო, რომელიც ვერტიკალურად დაედო ცვილის ფიგურას თავის ტრუსზე ჰორიზონტალურად დავადე...

დე დამწვარა ფერადი ვაკე და შავთეთრი ნახალოვკა ერთად...

აღარ მინდა, მძულს ყველაფერი...

ვთქვი და გავიქეცი... დიდხანს გავრბოდი... ტროტუარი, დაღმართი, მიწისქვეშა გადასასვლელი, სიბნელე, ისევ სინათლე...

აღმართი, ტროტუარი... და ისევ... მერე გზაჯვარედინი. სიბნელე... ისევ სინათლე... გვირაბი გამოჩნდა, ძველი, მიტოვებული გვირაბი. ბაბუა მიყვებოდა... რომ კომუნისტებს მიწისქვეშ გვირაბების დიდი ქსელი ჰქონდათ გათხრილი. ყოველთვის მაინტერესებდა და ახლა რატომ უნდა გამეშვა შანსი ხელიდან, დროც მქონდა და სიჩქარეც-აკრეფილი. გვირაბში შევირბინე, ბევრი ვირბინე, ძალიან ბევრი..... ტემპს ველარ ვინარჩუნებდი, შუქი და ჩემი ძალა ნელ-ნელა კლებულობდა, ყურებში მხოლოდ ჩემი ფეხის ხმა და სწრაფი სუნთქვა მესმოდა... ორივე დაწყნარდა... დარჩა გულისცემა, ნელინელ მანაც დაუთმო სივრცე სიჩუმეს. სირბილიდან ძუნძულზე გადავედი, ძუნძულიდან სიარულზე... თვალის გუგები გამიდიდდა...

ბაბუა, რომელსაც არ უყვარდა თავისი ქვეყნის წყობა, ხშირად მიყვებოდა გვირაბებზე... როგორც მისი მონაყოლიდან მახსოვს, ამ საიდუმლო გვირაბში ჩასული ადამიანი სადღაც შორს ამოდიოდი. აქ კი ამოსასვლელი არსად არ ჩანდა, თუმცა ისე ბნელოდა, რა უნდა გამოჩენილიყო, ვერაფერს ვხედავდი. კედელს ხელები მივადე და ისე გავაგრძელე სიარული. ცოტა ხანში ხორკლიანი შეგრძნება მეტალისამ შეცვალა, რკინის კარი მიდუღებული იყო ჩარჩოზე, გასაღების ჭურჭრუტანიდან გავიხედე. დიდი ქალაქი გამოჩნდა, რკინიგზის სადგურს „ბელორუსიის ვაგზალი“ ეწერა. უამრავი ხალხი შეკრებილი-

ყო მოედანზე ტრანსპარანტებით – „გაუმარჯოს ბელადს“, „დიდება პარტიას“. ტრანსპარანტებზე ორი ადამიანის, მელოტისა და ულვაშას გამოსახულება ქარბობდა. დიდი ფიფქები ცვიოდა ციდან, სადგურში რკინის მატარებელი შემოვიდა, მელოტი გადმოვიდა, და ორატორობას მიჰყო ხელი.

– გაუმარჯოს მელოტს... გაუმარჯოს პარტიას... ვაშა!...

ქუხდა მოედანი, მოზეიმე მასაში ბაბუას მოვკარი თვალი...

აკი არ უყვარდა ეს წყობა?.. აქ კი კარგად გამოხატავს სიხარულს?...

ეგებ, უბრალოდ, მასას აჰყვას?.. ძნელია არ დაიყვირო, როცა ყველა ყვირის...

ეგებ ყალბი იყო ეს სიყვარული ბელადისა? საქმისთვის საჭირო... თავის გადარჩენისთვის აუცილებელი... ან, იქნებ, მართლაც საყვარელი ადამიანი იყო ბელადი? ცაში ნაცრისფერი მასა გამოიკვეთა, ერთად შეიკრა, მეფის გვირგვინის ფორმა მიიღო. გვირგვინს ერთი წვეთი გამოეყო, მინისკენ დაეშვა, დაეცა და პატარა გოგოდ გადაიქცა, გოგონა ბელადის ტრიბუნისკენ გაემართა, იგი დაცვის კორდონს თავისუფლად კვეთდა, ვინაიდან არ იყო მატერიალური, ის სული იყო... მათთვის უხილავი... გოგონა ბელადს მიუახლოვდა, რომელსაც ორატორობით მოენუსხა მუშათა და გლეხთა მასა, ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა:

– რატომ მომკალი, ძია ბელადო? შენ ხომ ბავშვები გიყვარდა, მე რატომ მომკალი?..

ბელადმა ოდნავ დააგდო ორატორობის ტემპი... გოგონამ კიდევ ჩასჩურჩულა...

– ჩემი და რატომ მოკალი, ბელადო?

გვირგვინს ისევ მოწყდა წვეთი, მინას დაეცა, უფლისწულად გადაიქცა, ბელადისკენ გაემართა და ჰკითხა...

– მამა რატომ მომიკალი?

გვირგვინს ისევ მოწყდა წვეთი, მინას დაეცა რუსეთის მეფე დაიძრა ბელადისკენ...

– მეუღლე რატომ მომიკალი?

დედოფალმა ჰკითხა ბელადს...

– შვილები რატომ წამართვი?..

ბელადმა პირად ექიმს მოხედა.

– კვლავ გესმით? ისევ ბავშვის ხმაა?

– ხმა მრავალთა, – უპასუხა ბელადმა, ორატორობა შეწყვიტა და, ექიმის დახმარებით, მატარებელში შებრუნდა. დაცვა, პირადი ექიმი და უხილავი მოლაპარაკე სულები ბელადს მიჰყვნენ. ორთქმავალმა ხმა გაიღო, საკვაშურიდან თეთრი კვამლი გაისროლა ცისკენ, კვამლით კვლავ სამეფო გვირგვინი გამოისახა, მატარებელი დაიძრა, გვირგვინიდან ჩამოვარდნილი წვეთები მატარებელს ღებავდა წითლად. სადგურში დარჩენილი ვერ მიმხვდარიყვნენ ბელადმა ასე უეცრად რატომ შეწყვიტა სიტყვა. ბაქანზე მეორე მატარებელი შემოვიდა. იქიდან ტყავში გამოწყობილი ადამიანები გადმოვიდნენ, მათ შორის უღვაშაც იყო. ერთ ერთი ტყაოსანი ტრიბუნაზე აიჭრა და ...

– ამხანაგებო, ჩვენ დიდი წარმატებები გვაქვს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია... ჩვენს საქმეში ხელისშემშლელი ფაქტორებიც არსებობს, რაც მალევე უნდა აღმოვხვრათ, სამწუხაროდ ჩვენს შორის მოლაღატებებიც არიან. მე გამოვაცხადებ რიგების ნომრებს, ამ რიგში მყოფნი უნდა ჩასხდნენ მატარებელში... მეორე, მესამე, მეექვსე...

ბაბუა მესამე რიგში იყო... დასახელებულ რიგში მდგარ ადამიანებს ტრანსპარანტები ჩამოართვეს და მატარებელში ჩასვეს, ბაბუა ჩემკენ იყურებოდა დიდი, ლამაზი და სასონარკვეთილი თვალებით... ეგებ მხედავდა კიდევ... კარს მუშტები დავაყარე... უაზროდ... უსაშველოდ...

– ბაბუ...

მატარებელი დაიძრა, სადგურში დარჩენილ ადამიანებს, დაბეზღების პირველი და მეორე ხარისხის ორდენები დაკიდეს.

კარს ცრემლიანი მოვცილდი, კედელზე ხელის ცეცებით განვაგრძე სიარული, კიდევ ერთი კარი შემხვდა, გავაღე... ფრთხილად შევედი



დიდ, უსაშველოდ დიდი თეთრ ოთახში. ჩემთან ლამინირებული ადამიანი მოვიდა და მკითხა:

- ფილოლოგი ხარ?
- არა.
- აბა აქ საიდან მოხვდი?
- ჩემი რეპეტიტორია ფილოლოგი
- ეგვიპტოლოგი ხარ?
- არა... - ვუპასუხე.

არარანაირი ...ოლოგი არ ხარ? – გაიცინა ლამინირებულმა და მენიუ მომანოდა. გრძელი სია დერმატოლოგიით იწყებოდა:

- სპილე-ოლოგი
- სან-ტექენ-ოლოგი
- დოგმატ-ოლოგი
- კლინტოლოგ-პოლიტ-ოლოგი
- სტო-მატ-ოლოგი
- ფსიქ-ოლოგი
- სექსოპათ-ოლოგი
- ბრძენ-ოლოგი
- რედაქტ-ოლოგი
- ფილმ-ოლოგი
- .....
- .....
- .....

სია და სხვათი მთავრდებოდა. კითხვას თავი დავანებე, დარბაზს დავაკვირდი. კედლებთან ადამიანები ჯგუფებად იდგნენ, ჭერზე ალაგ ალაგ შავი სათვალეები მოძრაობდნენ, ერთ-ერთი ჩემთან მოვიდა, შემათვლიერა, შემომიარა და ისევ ჭერზე დაიკავა ადგილი. ლამინირებულმა ადამიანმა ძველი სია გამომართვა, ახალი ფურცელი მომანოდა და მითხრა:...

- შეგიძლია შენი მიმართულება შექმნა.

ფურცელზე, საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ...ოლოგი-ს შექმნის ტექნოლოგია, ანუ დამზადების ინსტრუქცია ეწერა:

...ოლოგის შექმნამდე გირჩევთ თქვენი ოცნებები, სურვილები და ნატვრა ნაგვის ურნაში მოისროლოთ. მოიკითხეთ წინაპრების ...ოლოგები, მათი პროფესიები, გაითვალისწინეთ მათი შეხედულებები, ამავდროულად, გადახედეთ თქვენს მწარე ბავშვობას, ყველაფერი ეს შეაზავეთ თქვენს გონებრივ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან, დაბეგვით, დაბეგრეთ, გაატარეთ ინტელექტუალურ მანქანაში, შიგადაშიგ დიპლომებით და დახასიათებებით შეაზავეთ, გამოაშრეთ, გამოამზიურეთ და წაიკითხეთ გათენებამდე 2 წუთით ადრე, ვარსკვლავების აღლუმის წინა დღეს და დაელოდეთ, ...ოლოგი მოვა, მონო-ლოგდება თავისით...

ინსტრუქცია ჯიბეში ჩავიდეთ, ადამიანთა უახლოეს ჯგუფს მიუახლოვდით, ისინი ტიროდნენ, ცოტა ხნით მათთან შევჩერდით, მეც ავცრემლიანდი, ხელი გადამხვიეს, მით-მით-ანაგრძენს მითო-ლოგებმა. ცრემლი დამიშრა. გავეცალე...

მეორე ჯგუფთან მივედი, კაცი რალაცას ყვებოდა, იცინოდნენ, მეც გამეცინა, ისე, დიდი არაფერი, მგონი, რალაც რიჟას ბაზრობდნენ. ხელზე ტატუები ჰქონდათ – ტუფტო-ლოგები. გავეცალე. მომშივდა. კომფლიქტ-ოლოგმა მშვიდობა მომიტანა. არ ვჭამე მისი მშვიდობა... კედელზე წარწერა წავიკითხე – „სასა-დიალოგი“, ლილაკს დავაჭირე ყრუ კედლიდან ხმა გაისმა: ინტერფრაქციული სალათა, დეველოპერული კოტლეტები. თანხმობის შემთხვევაში ლილაკს ორჯერ დააჭირეთ ხელი. შევასრულე. კედლიდან ვერცხლისფერი სინი გამოსრიალდა, ზედ ორი აბი იდო. ჯერ სალათისფერი აბი გადავყლაპე, შემდეგ-მეორე.

– რა, არ მოგეწონა? – გაისმა ყრუ კედლიდან....

– მე მგონი კოტლეტი ცოტა მსუყე გამოგსვლიათ.

სინი ნაწყენი შესრიალდა კედელში.

– გმადლობთ, მე წავედი.

– დარჩი ყველაფერს გაპატიებ, – ჩაილაპარაკა კედელმა.

– რას მაპატიებ?

– კარგი, მაშინ წადი, დატოვე და წადი...

– რა დავტოვო?

– თვითკმაყოფილი იდიოტის შთაბეჭდილება დატოვე და წადი...

მოლაყბე კედელს გავეცალე. კოტლეტის აბი მართლაც მიძიმედ დამანვა კუჭზე, დამასლოკინა, კიდევ და კიდევ... იმდენად ხმამალ-ლა, რომ დარბაზში მყოფთა ყურადღება მივიპყარი. ხელი ავიფარე, უშედეგოდ. ვხვდებოდი, რომ ეს არ იყო სლოკინი, ხმა რალაც ძახილს უფრო გავდა. ბიო-დერეფნიდან ფეხის ხმა გაისმა, გადაშენებული ცხოველების რაზმი გამოჩნდა, ისინი ჩემს ხმაზე მოდიოდნენ, კედელი ხმამალა იცინოდა. არ უნდა გადამეყლაპა აბები... ეზოში გავედი, ცხოველები ხმაზე მოდიოდნენ. გავიქეცი, ცხოველებიც სირბილზე გადავიდნენ. დავილაღე, გავჩერდი, ერთი წამიც და გადამთელავ-დნენ... ცხოველებს ხორცი შემოეძარცვათ, კუნთების გარეშე დარჩე-ნილი ჩონჩხები ერთმანეთის მიყოლებით ენარცხებოდნენ მიწას...

ღრუბლებმა ცა დაფარეს. განვიმდა. შენობიდან მეტეორ-ოლოგი გამოვიდა, პულტი ცას მიუშვირა, უშედეგოდ. ციურიმ, ციური ელემენტები გამოუცვალა პულტს, წვიმას ჩაუნია, ღრუბლები მიმოფანტა. მზე გამოჩნდა, დაცხა, კიდევ უფრო დაცხა, გაუდაბნოება დაიწყო, ყველაფერი ქვიშად იქცა, ჩონჩხებს ჭიამატლი შეესია...

ქვიშაში ორმოები გაჩნდა. ორმოდან ადამიანები ამოდიოდნენ... მეორეში ჩადიოდნენ...

– ჩამო ჩამ-ოლოგდი! – შემომძახეს.

– თავი დამანებეთ, მე ჩემი ოცნე-ბოლო-ბოლოგები მაქვს.

ამოძვრენ, შემომიარეს.

– გიჟია, გიჟოლოგი...

– შენს მოსვლას ჯერ არ ველოდით...

– შემოგვიერთდი, იცოდე, ინანებ ეგ შენი ოცნებოლო-ბოლო იქნება შენთვის.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. ქვები დამაყარეს, ოლოგ-ოლოგ სულ დავლურჯდი.

– ჩავექოლოთ! – ყვიროდა წრე...

– ჩავექოლოთ, მონო-მონოლოგად ვაქციოთ

გიჟის ვაქცი-ნაცია,

არავის დავაჩაგვრინოთ

ცივი-ცივილიზაცია.....

– ხმა გაისმა, დიდი ხმა.....

ორმოებში ჩაძვრნენ. რკინის ლიანდაგები გველებივით დასრიალებდნენ მიწაზე ჩემ წინ ჩაიარეს, ვიდრე ჰორიზონტს გასცდებოდნენ, მიწას ასცდნენ, ცაში აიჭრნენ, სპირალურად დაიწყეს სვლა, DNM-ის ფორმა მიიღეს და უსასრულობაში მიიმალნენ.....

ახლად გაშლილ რკინის გზაზე მატარებელი გამოჩნდა, პირველი საუკუნე ეწერა პირველ ვაგონს. იქიდან ევა იყურებოდა, პატარა აბელი და კენი ჰყავდა მიკრული მკერდზე, მეორე ვაგონი, მესამე, მეოთხე საუკუნე, მეხუთე საუკუნე, და კიდევ და კიდევ, ადამიანები იყურებოდნენ და მიდიოდნენ და მიდიოდნენ და მიდიოდნენ და ... მიჰყვებოდნენ მატარებელს, DNM-ის ფორმის რკინიგზა გალაქტიკას ერწყმოდა...

მატარებლის ვაგონები კი არ მთავრდებოდა, შეშინებულმა უკან-უკან ვინყე სიარული, თან მატარებლის სარკმლებიდან კადრებივით მორბენალ სახეებს არ ვაშორებდი თვალს, მათ შორის ბაბუაც იყო, ვან გოგიც, ირაკლიც...

შენობაში დავბრუნდი.

– წესები შეიცვალა! – გაისმა ხმა, სიტყვა კედლებს შეეჯახა, ექო ერთმანეთს შეერია, ბადის ფორმა მიიღო და ჭერს აეკრა. ჭერიდან რძისფერმა ნისლმა იატაკისკენ იწყო დაშვება. ადამიანები იატაკზე პირქვე დაწვნენ, ორთქლი ცხვირწინ გაჩერდა.

– გადმოტრიალდი, ნუ უყურებ – მითხრა გვერდზე მწოლმა. ორთქლში გამოსახულებები გამოჩნდა, მომხდარი თუ ჯერ არ მომხდარი მსოფლიო ომები, გლობალური მოვლენები...

რძისფერ ნისლთან თითი მივიტანე, ვერაფერი ვიგრძენი. მკლავი შევყავი, ხელი... შემისრუტა...

დედამინაზე სიჩუმე ჩამოდგა... ცის თალი შუშის იყო. გარშემო ქალაქი აღიმართა.. ცარიელი ქალაქი. ქუჩა ვიცანი, ადრე მწერლის სახელს ატარებდა. ვერ გავიხსენე. კედელს ავხედე – „გაუმარჯოს ქუჩა, N 9“. გრძელი ქუჩის ბოლოს მოძრაობა შევნიშნე. პატარა ბავშვი მოდიოდა, დროდადრო ქილაში ანობდა ფუნჯს და ტროტუარზე მწოლიარე შიშველ მანეკენებს სისხლისფრად უღებავდა სხეულს, ბავშვი საპირისპირო ტროტუარზე გადავიდა, იქ სხვა მანეკენს დაახატა სისხლის ლაქები... შემნიშნა. ნელ-ნელა მომიახლოვდა. შემათვალეირა...

– გაუმარჯოს? – მკითხა, შიშით ხმა ვერ გავეცი.

– გაუმარ...

მივხვდი ჩემგან დაბოლოებას ელოდა. გუნებაში ვთქვი ...ჯოს. მან კი ხმამაღლა გამიმეორა:

– გაუმარ...

...ჯოს! – ვიქუხე მე, როგორც გამიგია სუფრებსა და მოედნებზე და, როგორც გვეკადრება, საერთოდ...

ბავშვმა საღებავიანი ქილა დააგდო, ყვირილით გაიქცა...

– წესები შეიცვალა! წესები შეიცვალა!.. – ჩასძახა კანალიზაციის ღია ჭებს...

მაღევე მობრუნდა, ორ კაცთან ერთად.

– სად ვარ?

– სივრცეთა გადაკვეთის სიბრტყეა... დროის მორევი...

– ხალხი სად არის?

– ადამიანებმა ჯერ ქუჩას დაარქვეს „გაუმარჯოს“, მერე ქალაქს, თქვენი ინტელექტი მეტს ვერ გასწვდა... ასეთი ცივილიზაციები დიდხანს ვერ არსებობენ. თქვენ ბელადის გარეშე არ შეგიძლიათ ცხოვრება. რამოდენიმე ათეული წელია ახალი ბელადი არ დაბადებულა, ამან უარყოფითად იმოქმედა თქვენზე... აზრი დაკარგა თქვენ-

მა ცხოვრებამ... იდეა გაქრა... ვირტუალურმა სამყარომ შეგისრუტათ, სოციალურმა ქსელმა... ობობამ...

– ცა რატომაა შუშის?

– პლანეტა გამოიფიტა... დაბინძურდა გარემო, ოზონის გარსი ხახვის ფურცელივით შემოეცალა დედამიწას, ატმოსფერო გაიბნა კოსმოსში, ადამიანებმა ცა შემინეს. ახლა ატმოსფერო მხოლოდ მიწისფენა სივრცეში დარჩა, მიწასა და შუშის ჭერს შორის 300-სი მეტრის სიმაღლეზე. დედამიწას ატმოსფერო აღარ აქვს, შესაბამისად, ჩვენც მთავალი ასტეროიდები, რომლებიც ადრე ატმოსფეროში ინვოლდნენ, ახლა მიწამდე აღწევნ და შუშის ჭერს ამსხვრევენ. რამდენიმე ასეთი შემთხვევა უკვე მოხდა, სხვადასხვა უბნები მაღალი კედლებითაა იზოლირებული ერთმანეთისგან... ცალკეულ კოლონიებად ანუ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებადაა დაყოფილი სივრცე. იქ, სადაც დაეცემა ასტეროიდი, სიცოცხლე ჩერდება... მზის რადიაცია კლავს ყველაფერ ცოცხალს. ცხოვრება სიკვდილის „რულეტკას“ დაემსგავსა – დედამიწა ტრიალებს, ასტეროიდი კი ის ბურთია, რომელიც ერთ-ერთ კოლონიაზე შეაჩერებს თავის არჩევანს... ცალკეულ კოლონიებს შორის დაპირისპირება მაშინ იწყება, თუ რომელიმე დასახლებული პუნქტი ადრეულ სტადიაშივე დააფიქსირებს მისი უჯრედისკენ წამოსულ ასტეროიდს. ამის შემდეგ ისინი აწყდებიან მეზობელ კოლონიათა კედლებს და იქ გადასვლას ითხოვენ, – თუმცა ამოდ... იქ მათ არ უშვებენ... ისინი კანალიზაციის ჭებში ცხოვრობენ, ზოგნი ორმოებს თხრიან, რათა მიწის სიღრმეში დაემალნონ ასტეროიდს და მზის მავნე რადიაციას... კოლონიებში საშუალო ფენა და ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს. ღრმად მიწაში ნავთობისგან გამოთავისუფლებულ სივრცეებში კი ნავთობმაგნატებმა და სხვა შეძლებულმა ადამიანებმა სასახლეები ააშენეს, ჟანგბადის ათასწლოვანი მარაგით, გასართობი ობიექტებით, მათი ტოტალიზატორები ფსონებსაც კი იღებენ იმაზე, თუ რომელ კოლონიას დაეცემა შემდეგი ასტეროიდი... ასტეროიდის ჩამოვარდნით ნაწილი მდიდრდება, ნაწილი ღარიბდება, კოლონიები კი ილუპებიან.....

მათმა მონაყოლმა შემადრწუნა.

ბავშვის ჯიბიდან ხმოვანი სიგნალის ხმა გაისმა. გაიქცნენ, კანალიზაციის ქვებში ჩახტნენ, ლუკები დაიფარეს.

ზევით ავიხედე. შავი ლაქა დიდდებოდა, შუშის მტვრევის ხმა გაისმა..... იმსხვრეოდა ყველაფერი... ციდან შუშის ნამცეცების წვიმა მოდიოდა...

დარტყმის ტალღამ მზესუმზირის მინდორზე გადამაგდო...

ვან გოგის „მზესუმზირები“... ფიროსმანი... ირაკლი ფარჯიანი... ანზორი... სახლი... სახლი გამახსენდა, ვახშამზე-ცოტა მზე, ცოტა-მთვარე, ჩაი მურაბით და ვან გოგის „მზესუმზირები“ კედელზე... სევდიანი ნახალოვკა, ჩემი ერთოთახიანი სასახლე... უნდა დავბრუნდე...

მზესუმზირები დაწვნი მინაზე, დაიძინეს. ნაცნობი შენობა გამოჩნდა, შევედი დერეფნების გავლით ხალხმრავალ ადგილას მოხვდი, დახლები, მალაზიები, ბუტიკები, მოვაჭრეები მთავაზობდნენ ათას რამეს, ტექნოდახლთან შევჩერდი.

– შეიძინეთ ხელოვნური ინტელექტის ჩიპები... თვალის ლინზები შიგ ჩამონტაჟებული ინტერნეტითა და ინტელექტით.

ისმოდა ყოველი მხრიდან.

– რესოციალიზაცია იწყება, სოციალურად დაუცველი ფენების რესოციალიზაცია, აღრიცხვისთვის გაამზადეთ მარჯვენა ხელი და შუბლი.

ადამიანები რიგში ჩადგნენ. თავში ჩიპებს უცვლიდნენ. ცენტრალურ კომპიუტერზე აღიბეჭდებოდა თითოეულის მონაცემი დაბადებიდან დღემდე. მე ლამინირებული ადამიანი მომიახლოვდა და .....

– თქვენ თავის ქალა არ გაქვთ გახვრეტილი, 66-ე ოთახში ადგილობრივი ანესთეზიით შეგიძლიათ დაიმონტაჟოთ ჯეკი...

– დაბადების თარიღი?

– 1963 წელი.

გაუკვირდათ 66-ე ოთახში ჩემი პასუხი. თითების ანაბეჭდი ამიღეს.

– საერთო საიდენტიფიკაციო ტესტი რატომ არ გაქვთ გავლილი? ბაზაში თქვენზე არანაირი მონაცემები არ არსებობს? იქნებ 2063-ი წელი უნდა გეთქვათ და არა 1963 წელი?

– 1963-ში დავიბადე...

– საიდენტიფიკაციო ოთახში შეიყვანეთ. ჯერ დაამუშავეთ-დაამატა ექიმმა.

თმა გადამხოტრეს, სამოსი გადაყარეს, ორთქლის აბაზანაში გამატარეს და წითელი ტომარა ჩამომაცვეს, რომელსაც თავის და ხელების გასაყრელი ნახვრეტები ჰქონდა. საიდენტიფიკაციო ოთახის შესასვლელთან ჩემს ფორმაში მყოფ რამდენიმე ადამიანს რიგი ჰქონდათ დაყენებული. არ მინდოდა იქ შესვლა. საპირფარეშო მოვითხოვე. კარისკენ მიმითითეს. საპირფარეშოს მეორე კარიც ჰქონდა, იქიდან გავედი, ჰოლში წითელი ხალიჩა იყო დაგებული, ხალიჩას მივყევი, დარბაზში შემეყვანა, ცარიელი... უზარმაზარი..... ულამაზესი თეატრალური დარბაზი...

წითელ ხალიჩა სცენასთან კიბის ფორმას იღებდა, სცენაზე კედელივით იყო აღმართული ორლანი, მრავალსართულიანი კლავიატურით და უამრავი პრიალა ღილაკით. სცენისკენ წავედი, წელი ნაბიჯით, მენანებოდა ფაფუკ ხალიჩაზე ჯერ კიდევ სველი ფეხების დადგმა, ხალიჩაზე ასოები იყო ჩაქსოვილი... ასოებს ვთელავდი, თან ვამბობდი – **იოჰან სებასტიან ბახი.**

ცარიელ დარბაზში ბახის მუსიკა გაისმა, ორლანს გავხედე კლავიშები თვითნებურად თამაშობდნენ, დარბოდნენ, ხტუნავდნენ, ყველა სართულზე, ყველა დონეზე...

ხალიჩიანი კიბე სწრაფად ავიარე, სკამზე ჩამოვჯექი...

მოცეკვავე კლავიშებზე თითები მივუშვი...

თვალეები თვითონ დაიხუჭნენ...

მუსიკა თითებიდან წამოვიდა სხეულში...

წყნარი თოვლივით...

თბილი წვიმის მსგავსად...



თეთრი სეტყვის ფასად...

და ისევ წყნარი თოვლი...

და ისევ წვიმა... ნერვული სისტემა გაა-ბახა ჰანგებმა... ხან ცაში ავყავდი, ხან უფსკრულში მითრევდა, და ისევ და ისევ...

ჰანგები მთვარეს წვდებოდა და ჭაში ვარდებოდა, მინისქვე-  
შა გზებით ოკეანეს ერწყმოდა... გა-ბახ-ებული ნერვული სისტემა,  
თითებიდან ტვინამდე განაზებული, ალგზნებული და მილიარდ უჯრე-  
დად დაყოფილი, ერთმანეთში ირეოდა და სამყაროსთან – მარადისო-  
ბასთან მაერთებდა, კოსმოსური სივრცე ჩემში გაიბნა, მე-მასში. არ  
იყო საზღვარი...

თვალეები გავახილე, თითები კლავიშებთან ერთად სინქრონულად  
ცეკვავდნენ, ორღანის გაპრიალებულ ღილაკებში ზურგსუკან მდე-  
ბარე დარბაზის ფრაგმენტები მოჩანდა, დარბაზი სავსე იყო თეთრ  
დახვეულ პარიკებში გამოწყობილი მაყურებლით, ბინოკლებით, ფუშ-  
ფუშელა-ხატულ სამოსში, გამოწყობილი ელიტა უსმენდა ბახს, მუსი-  
კა მინელდა... გაჩერდა... გაყურდა..... და ტაშმა იქუხა...

ფარდა დაეშვა... დაბნელდა...

სრულად დაბნელდა, არაფერი არ ჩანდა, მაგრამ სუნი ნაცნობი  
იყო...

აშკარაა, აქ ნამყოფი ვიყავი... ეს გვირაბის...სუნი იყო. კი, ისაა...

გვირაბი, რომლითაც მოვედი.....

თვალის გუგებმა გაფართოება დაიწყო, ფეხის კუნთებმა-მოძრაო-  
ბა. მივრბივარ, სახლში ვბრუნდები... სევდიან ნახალოვკაში... ჩემ საყ-  
ვარელ ეზოში... მალალ ალვის ხეებთან...

ამოდ...

ისევ იმ ადგილას მივედი.....

მიხვდი, წრეზე დავრბოდი, კედელს მივეყუდე, ჩავიკეცე. გვირაბის  
ბოლოში სინათლე გამოჩნდა... ჩემკენ მოდიოდნენ.

## თვითმკვლელობა

ორნი იყვნენ, კაცი ანათებდა, როგორც ფოსფორი, მეორე ახალგაზრდა ჩანდა...

ბიჭს დავაკვირდი, ვილაცას მაგონებდა...

საღლაც მენახა...

მგონი, მე მგავდა...

ნამდვილად...

გაკვირვებული ვუყურებდი მის უემოციო სახეს...

– უკაცრავად, რა დროა?

– აქ დრო არ არსებობს. – მიპასუხა ნათელმა კაცმა.

– იცით, გასასვლელს ვეძებ, მე რეპეტიტორთან უნდა დავბრუნდე, აქ შემთ...

– იქ ველარ დაბრუნდები.

– რას ნიშნავს ველარ დაბრუნდები? რატომ?

– შენ მკვდარი ხარ.

– რაა!?! რა თქვი!?!

– გახსოვს ნოველის დასაწყისში ქუჩაში რომ გარბოდი... აღმართი, დაღმართი...

და ისევ...

მერე გზაჯვარედინი. დაეცი... სიბნელე... ისევ სინათლე... გვირაბი... გზაჯვარედინზე მანქანა დაგეჯახა... იქ გადაწყვიტა ავტორმა შენი სიკვდილი.

– ვინ ავტორმა?

– ნოველის ავტორმა, – მიპასუხა ნათელმა კაცმა.

– ავტორმა? ეგ ვინლაა!?! მაგას ვინ ეკითხება!?!

– ასე მოისურვა ავტორმა! რა გაეწყობა...

– ეგ ხომ არ გაგიჟდა, ვინ ჰკითხავს მაგას ან ჩემ დაბადებას, ან ჩემს სიკვდილს... მე ცოცხალი ვარ, გესმით! ეგ თვითონაა მომაკვდა-


ვი, ეგ შეუძღვარი, ხელმოცარული ადამიანი! ეს მას ახვედნენ ძველი ბიჭები ფულს ნახალოვკაში, მე რომ გადმომბრაღა აქ, ჩემზე რა აქვს სალაპარაკო, მაგ ნახალოვკელ გოიმს... ვინ ეკითხება მაგას ჩემს ბედს... ცხოვრებაში არაფერი გამოუვიდა და ნოველების წერა დაუნყია ამ საცოდავს, აქაც ვერაფერს შეძლებს... ვერც მაშინ წერდა ეგ და ვერც ახლა, ნახეთ მისი წინა ნოველები, საგიჟეთზე წერს ფსიხ-ბალნიცაზე, თვითონ რომ აკლია, იმიტომ აღწერს გიჟებს, გიჟია ეგ, გესმით გიჟი... მე ცოცხალი ვარ, დავდივარ ვხედავ, ვლაპარაკობ..... მაგას ვინ ეკითხება, ვინ!...

გვირაბში მატარებლის ხმა გაისმა...

ნათელმა კაცმა ოთახში შემიყვანა, შუშის იატაკის ქვეშ საოპერაციო მოჩანდა, კარს მიღმა დედა ტიროდა, სისხლში ამოსვრილი ექიმები მაგიდას დასტრიალებდნენ. მაგიდაზე მე ვინეჭი. სხეულიდან ნაცრისფერი გარსი ამოვიდა... ექიმებმა გულის აპარატს გახედეს.

ზიგზაგი გასწორდა. WWWWWWWWWwwwwwwwwww-----

-----



გამომცემლობა შპს „სიესტა“  
თბილისი, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 16  
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49  
+995 32 22 07 08  
ელ-ფოსტა: [books@siestagroup.ge](mailto:books@siestagroup.ge)  
[www.siestabooks.blogspot.com](http://www.siestabooks.blogspot.com)  
[www.siestagroup.ge](http://www.siestagroup.ge)